# აჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№48 (25.072) სამშაბათი, 9 - 10 მაისი, 2023 წ. 50 თეთრი


## გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 15-20, შიდამთიან რაიონებში - 13-18 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 15 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 762 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია წვიმა ელჭექით.

# 9 მაისი – ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღე


ოთარ ცინარიძე 599 85 21 14


*თუ კაცობრიობის ისტორიას გადავხედავთ, მხოლოდ 300 წელი ყოფილა მშვიდობიანი. მსოფლიომ 14 ათას ომზე მეტი გამოიარა, რომლებმაც სამნახევარ მილიარდზე მეტი ადამიანი შეიწირა*

თავისი მასშტაბურობით, ადამიანური მსხვერპლითა და მატერიალური ზარალით, მეორე მსოფლიო ომს ვერცერთი შეედრება. ამ ომში 50 მილიონ ადამიანზე მეტი დაიღუპა, 35 მილიონი დასახიჩრდა. მარტო ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე 1700 ქალაქი, 70 ათასი სოფელი, 31 ათასი სამრეწველო საწარმო, 127 ათასი სკოლის, ბიბლიოთეკის, კულტურის სახლის, მუზეუმის შენობები მიწასთან გასწორდა. ეს გამანადგურებელი ომი 22 მილიონ კვადრატულ კილომეტრზე იყო გაშლილი და 72 ქვეყანა ჩაითრია.

ომის დასაწყისში შეიარაღებულ ძალებში სამხედრო სამსახურს გადიოდა 130 ათასზე მეტი საქართველოს მკვიდრი. ბელარუსის შემდეგ, საქართველო მეორე ქვეყანაა, რომელმაც მოსახლეობის რაოდენობაზე გათვლით, ყველაზე დიდი მსხვერპლი გაიღო. 1941 წლის 27 ივნისისთვის ჯარის ნაწილებში გაიგზავნა 6183 უფროსი და საშუალო მეთაური, 7086 უმცროსი მეთაური, 68 385 რიგითი, საომარ სიტუაციაში ქართულ შეიარაღებულ ძალებს გადაეცა 4319 ავტომანქანა, 334 ტრაქტორი, 18926 ცხენი. თადარიგიდან გაიწვიეს 1206 ქალი, უმთავრესად, ექიმები, ფერშლები და მედიცინის დები. ზურგისთვის მობილიზებული იყო 19-დან 25 წლამდე ასაკის 6783 ქალი. 1941 წლის ნოემბრისთვის საქართველოში უკვე 62 საევაკუაციო ჰოსპიტალი იყო 24760 საწოლით.

1941 წლის 23 ივნისიდან 1944 წლის 1 დეკემბრამდე შეიარაღებულმა ძალებმა დასაკომპლექტებლად საქართველოდან 562 756 სამხედრო ვალდებული მიიღეს. აღნიშნულ პერიოდში მობილიზდა და მრეწველობაში დასაქმდა 20164 ახალწვეული. ამავე პერიოდში რესპუბლიკის წითელი ჯვრის ორგანიზაციებში მომზადდა 510 ათასი ნიშნოსანი, 2500 მედიცინის და.

მეორე მსოფლიო ომში არ ჩაუვლია არც ერთ სამხედრო ოპერაციას ქართველების მონაწილეობის გარეშე. მრავალი ქართველი გენერალი, ადმირალი და ოფიცერი ხელმძღვანელობდა მსროლელ, ცხენოსან, საარტილერიო, საავიაციო, საჰაერო-სადესანტო, საზენიტო და სხვა დივიზიებს, საზღვაო ფლოტის შენაერთებსა და დივიზიებს.

1945 წლის 30 აპრილს, 21:50 საათზე, 150-ე მსროლელი დივიზიის 756-ე პოლკის მზვერავებმა მიხეილ ეგოროვმა და მელიტონ ქანთარიამ გამარჯვების დროშა რაიხსტაგზე ააფრიალეს, რისთვისაც მათ საბჭოთა კავშირის გმირის წოდებები მიენიჭათ.

საომარ პროცესებში ჩართული 700 ათასი წარგზავნილი საქართველოდან, მოსახლეობის 19 პროცენტი იყო. მათ შორის 23 ათასზე მეტი ოფიცერი, 16 ათასამდე ქალი, 60-ზე მეტი გენერალი და ადმირალი. ბრძოლის ველზე დაიღუპა 300 ათასზე მეტი მეომარი. აღწერის მონაცემებით, 1939 წელს საქართველოში ცხოვრობდა 3 მილიონ 540 ათასი კაცი, ხოლო 1946 წლის 1 იანვრისთვის - 3 მილიონ 232 ათასი კაცი, ანუ 307,3 ათასი კაცით ნაკლები. ომის ფრონტებზე მოპოვებული საბრძოლო დამსახურებისა და გმირობისთვის 244700 მეომარი საქართველოდან ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა, ხოლო 165 მეომარს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

ეს მცირედი ექსკურსი საკმარისად ჩავთვალეთ, რომ მკითხველს გარკვეული წარმოდგენა ჰქონდეს მეორე მსოფლიო ომის და ამ ომში საქართველოს მოსახლეობის მონაწილეობის შესახებ. იმ 300 ათას დაღუპულსა და 400 ათას ცოცხლად დაბრუნებულზე, რომელთაგან წუთისოფელს ერთეულები შემორჩა. სამაგიეროდ ცოცხლობენ ომში დაღუპულთა, ომიდან დაბრუნებულთა შვილები, შვილიშვილები, რომელთათვის 9 მაისი მნიშვნელოვან თარიღად რჩება...

«ერთიანი ნაციონალური მოძრაობის» 9-წლიანი რეჟიმის დანაშაულებათა ნუსხაში ჩაიწერა არაობიექტური, ყოვლად გაუმართლებელი დამოკიდებულება მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებისადმი, როცა ცდილობდნენ, დავიწყებას მისცემოდა შინმოუსვლელთა, ომის მონაწილეთა მემორიალები და სტენდები. გამონაკლისი არც აჭარა იყო. ხავსი მოედო და ჩამოიშალა სოფლებსა და ქალაქებში ერთ დროს გაკეთებული მემორიალები, რაზეც წუხდნენ ომის მონაწილენი, ომში დაღუპულთა ქვრივები, ობლობასა და გაჭირვებაში გაზრდილი შვილები...

შუახევის მუნიციპალიტეტიდან ომში მონაწილეთაგან, ნახევარზე მეტი ბრძოლის ველიდან აღარ დაბრუნებულა. მათ უკვდავსაყოფად კულტურის სახლის ეზოში შინმოუსვლელთა სპილენძით მორთული სტენდი გაკეთდა. ბოროტმა ხელმა სპილენძი მოაძრო და სარფის კარს მიღმა გაიტანა. მაშინ, რატომღაც, რაიონის ხელმძღვანელობამ და ომის მონაწილეთა ახლობლებმაც დუმილი ამჯობინეს.

ახლა შუახევის კულტურის ცენტრის შენობის, წინამდებარე ტერიტორიების რესტავრაცია-კეთილმოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. იმედია, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა შინმოუსვლელთა სტენდსაც მიაქცევს ყურადღებას.

ქალბატონი ეთერ დეკანაძე და კიდევ რამდენიმე ადამიანი შემორჩა ხულოს, რომლებსაც კარგად ახსოვთ დაბა ხულოს ცენტრში შინმოუსვლელთა მემორიალის გახსნა. ახლა მემორიალს მოწესრიგება სჭირდება. იგივე ითქმის ქედის, შუახევის, ხულოს სოფლების ცენტრებში, თუნდაც, სკოლებში არსებულ მემორიალებსა და სტენდებზე. ბევრგან ფოტოები ჩამოყრილია, ნაგებობა უსახურად გამოიყურება.

დღეს კაცობრიობა ფაშისტური გერმანიის დამარცხების 78-ე წლისთავს ზეიმობს. თავად გერმანელებიც ეწინააღმდეგებოდნენ ფაშისტურ რეჟიმს, ისევე, როგორც დღეს, პროგრესული კაცობრიობა - ვლადიმერ პუტინის აგრესიულ ომს მომძმე უკრაინელი ხალხის წინააღმდეგ. საზოგადოება ვერ ჰგუობს ომის გამჩაღებლებს, მოძალადეებს, ტირანებს, გაიძვერობით ან ბედის ირონიით, ქვეყნის სათავეში რომ მოქცეულან, სისხლისღვრას არ ერიდებიან, უკეთურობას სჩადიან.

მშვიდობის ფასი ყველაზე უკეთ იცის მრავალ ომგამოვლილმა ქართველმა კაცმა, რომელიც არაერთგზის ფენიქსივით აღდგა ფერფლიდან... რიცხვმცირე და დიდი ქართველი ხალხი იყო და არის ყველა ერის პატივისმცემელი და ყველა ერზე ძირძველი.

## კრიალოსანი

მმართველმა უმრავლესობამ „საარჩევნო კოდექსსა“ და პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებები წარადგინა, რომლის მიხედვით, ცესკოს თავმჯდომარეობის და ე.წ. პროფესიული წევრობის კანდიდატების შერჩევის და პარლამენტისთვის წარდგენის პროგრამატივა პრეზიდენტის ნაცვლად, პარლამენტის თავმჯდომარეს ექნება. ასევე, იცვლება მათ არჩევასთან დაკავშირებული პროცედურა და კვორუმი - თუკი პარლამენტი ცესკოს თავმჯდომარესა და წევრებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით (76 ხმა) მხარს დაუჭერს, თანამდებობას 5 წლის ვადით დაიკავებენ.

* * *

„ქართული ოცნება“ აქამდეც აკონტროლებდა ცესკოს თავმჯდომარეს, მაგრამ ახლა უნდათ, კიდევ უფრო მარტივად გააკონტროლონ, - განაცხადა „ევროპული საქართველოს“ თავმჯდომარე გიგა ბოკერიამ საარჩევნო კანონმდებლობაში დაგეგმილ ცვლილებებზე საუბრისას. მისი თქმით, ამაზე საზოგადოების პასუხი უნდა იყოს წინასაარჩევნოდ იმ ატმოსფეროს შექმნა, როგორიც იყო რუსულ კანონთან დაკავშირებით, რომ ან ვერ გაბედონ გაყალბება, ან თუ გაბედავენ, ამას მოჰყვეს ადეკვატური რეაქცია“, - თქვა ბოკერიამ.

* * *

ენმ-ის თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილი აცხადებს, რომ დოლარის კურსის შესაბამისად სასწრაფოდ უნდა მოხდეს ტარიფების შემცირება. მან პარლამენტში, ფრაქციის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილთან ერთად გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ ცვლილება უნდა აისახოს როგორც დენის, ასევე წყლის და გაზის გადასახადზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, საპარლამენტო ბერკეტს გამოიყენებენ და სემეკის თავმჯდომარე დავით ნარმანიას პარლამენტში დაიბარებენ. „წარმოუდგენელია, რომ დოლარის კურსის ზრდა იწვევდეს ფასების ზრდას, ხოლო შემცირება არ იწვევდეს არაფერს“, - დასძინა ხაბეიშვილმა.

* * *

ოპოზიციონერი დეპუტატები ხატია დეკანოიძე და რომან გოცირიძე აცხადებენ, რომ მათ პარლამენტში პოლიტიკური ჯგუფის დარეგისტრირების საშუალება არ ეძლევათ. ისინი დაინიციირებენ რეგლამენტში ცვლილებებს, რათა ერთი სიიდან გასული დეპუტატების მსგავსად, პოლიტიკური ჯგუფის შექმნა შეეძლოთ ერთი ბლოკიდან გასულ დეპუტატებსაც. არსებული რეგლამენტით, პოლიტიკური ჯგუფების შექმნის უფლება აქვთ დეპუტატებს, რომლებიც პარლამენტში ერთი პარტიის სიით მოხვდნენ და შემდეგ პარტია დატოვეს, მაგრამ ეს შესაძლებლობა საარჩევნო ბლოკის სიით გასულ იმ დეპუტატებზე არ ვრცელდება, რომელთა პარტიასაც პარლამენტში ფრაქცია აქვს შექმნილი.

მოამზადა
ია შველიძემ


ISSN 2720-8702

9 772720 870003


## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

# ბათუმმა კონტაქტურ კარატეში საერთაშორისო ტურნირს – „BATUMI OPEN“ უმასპინძლა

***ტურნირი ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და მასში სხვადასხვა ქვეყნის 230 სპორტსმენი მონაწილეობდა***

საერთაშორისო ტურნირის ფინალურ შეხვედრას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, მოადგილე ბადრი ნაკაშიძე და სპორტის დეპარტამენტის უფროსი ირმა ნიჟარაძე დაესწრნენ და გამარჯვებული სპორტსმენები დააჯილდოვეს.

გამარჯვებულ და საპრიზო ადგილზე გასულ სპორტსმენებს შესაბამისი ხარისხის დიპლომები, თასები და მედლები გადაეცათ.

გუნდურ პირველობაში საქართველო I ადგილზე გავიდა.

**აჭარის მთავრობის პრესსამსახური**

# ქართული სიტყვის სადარაჯოზე

**ნანა აბულაძე 577 20 35 90**

***„აჭარაში გადარჩენილი ქართული სიტყვის ზეიმი“ - ასე ერქვა საღამოს, რომელსაც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმასპინძლა***

საღამოს სტუმრები ბათუმელი პოეტები და მწერლები იყვნენ, რომელთა სიღრმისეული და საინტერესო შემოქმედება კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ სანამ არსებობენ ავტორები, რომლებიც ასე ლამაზად ჰყვებიან სიყვარულზე, თავისუფლებაზე, სამშობლოზე, ტრადიციებზე, ქართულ სიტყვას გადაშენება არ უწერია. საღამო, რომელიც გაჯერებული იყო ლექსით, სიმღერით, სითბოთ და სიყვარულით, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფესორის შორენა მახაჭაძის ხელმძღვანელობით გაიმართა. მასში ჩართული იყვნენ ამავე დეპარტამენტის სტუდენტები, რომლებმაც საოცარი გემოვნებითა და სიფაქიზით ისაუბრეს და წარმოგვიდგინეს იმ მწერლებისა და პოეტების მცირე პორტრეტული შტრიხები, რომელთა შემოქმედება თექვსმეტსაუკუნოვანი მწერლობის ერთი მძლავრი შენაკადია. საღამოს ელფერი შემატა ბსუ-ის გოგონათა ხალხური სიმღერის ანსამბლმა „თირინი“, ხოლო ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ტბეთი“ კიდევ უფრო აამაღლა ის მუხტი და ემოცია, რაც დარბაზში ისედაც დუღდა.

- ქალაქის კულტურული ცხოვრებისათვის, ახალგაზრდობისათვის და ზოგადად, ბათუმის მცხოვრებლებისათვის, ძალიან მნიშვნელოვანია სიახლოვე და შეხვედრები მწერლებთან, პოეტებთან, რისთვისაც მადლობას ვუხდი ორგანიზატორებს, დამსწრე საზოგადოებას, ყველა ავტორს, ვინც ჩართული იყო დღევანდელ ღონისძიებაში. მწერლის, პოეტის შემოქმედება საინტერესო რომ იყოს, განსაკუთრებით, ახალგაზრდებისთვის, აუცილებელია, მან ფეხი აუწყოს თანამედროვეობას, წერდეს იმ განცდებზე, რაც ახალგაზრდა თაობის კითხვებზე პასუხს გასცემს. საბედნიეროდ, არაერთი ძალიან კარგი, წარმატებული თანამედროვე მწერალი გვყავს, რაც ძალიან საამაყოა ჩვენი კუთხისთვის, - აღნიშნა პოეტმა გიორგი გაბაიძემ.

საინტერესო საღამოს ორგანიზებისთვის, შორენა მახაჭაძეს, ბათუმის უნივერსიტეტს და სტუდენტებს მადლობა გადაუხადა პოეტმა როინ აბუსელიძემ.

- შორენა მახაჭაძე არის ის ქალბატონი, რომელიც, ყოველთვის, მაშინაც, როცა ამ უნივერსიტეტში ვსწავლობდი და დღესაც, სათავეში უდგას ლიტერატურულ აქტივობებს. ბათუმელი მწერლებისა და პოეტებისადმი ყოველთვის იჩენს განსაკუთრებულ ყურადღებას, რასაც ვგრძნობთ და მადლიერები ვართ. უნივერსიტეტი, სტუდენტები, უდიდესი ძალაა და ამ ძალას სჭირდება ყოველგვარი ცოდნით აღჭურვა, ლიტერატურული მხარე კი უმნიშვნელოვანესია. სტუდენტები უნდა იცნობდნენ თანამედროვე ავტორებს, სწორედ ამ საქმეს ემსახურება ქალბატონი შორენა და კიდევ ერთხელ მადლობა მას, - გვითხრა როინ აბუსელიძემ.

მადლობა გადაიხადა მწერალმა ნიაზ ზოსიძემ, რომელიც განსაკუთრებული სიყვარულით ეფერება და ჩვენამდე მოაქვს მუჰაჯირებში გადარჩენილი ქართული სიტყვა.

- დღეს ვიმყოფებით უნივერსიტეტში, რომელმაც ჩვენი კუთხის ისტორიაში ყველაზე დიდი როლი შეასრულა. მადლობა უნივერსიტეტს, მის ყველა თანამშრომელს, ქალბატონ შორენას, რომ ასეთი ღონისძიება გვაჩუქა. სწორედ ასეთი შეხვედრები, ასეთი ადამიანები გვინერგავენ იმედს, რომ ხვალ ჩვენ უფრო ძლიერები ვიქნებით. მე დღეს ვდგავარ იმ მიწაზე, რომელ მიწაზეც ფეხი აიდგა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანმა“ (ლიტერატორები ამბობენ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ მესხურ-აჭარულ დიალექტზეა დაწერილი), მე დღეს ვდგავარ იმ მიწაზე, სადაც ზურაბ გორგილაძემ ყველაზე ლამაზად თქვა „საქართველოვ, ჩემო დედავ, ჩემი სუნთქვა გენაცვალა“. მინდა საქართველოს სიყვარულში დავიხარჯოთ ყველა, რამეთუ, სიყვარულია ის ძალა, რომელიც გვიხსნის ყოველგვარი განსაცდელისგან. მრავალჟამიერ ეზეიმოს ქართულ სიტყვას.

ამაღელვებელი იყო მწერალ ანზორ კუდბას სიტყვები, რომლითაც მან ჩვენს აფხაზ დებსა და ძმებს მიმართა:

- უსაქართველოდ აფხაზეთი დაიღუპება, ასევე, ქართველს გაუჭირდება უაფხაზეთოდ... მჯერა, სულ მალე ჩვენ ყველა ერთად ვიქნებით და ამ ერთობას ვეღარავინ დაარღვევს.

ღონისძიების დასასრულ ყველა მწერალსა და პოეტს მადლობა გადაუხადა პროფესორმა და საღამოს ორგანიზატორმა შორენა მახაჭაძემ. მისი თქმით, უნივერსიტეტი ქართული ენის დღეების ფარგლებში, ყოველ წელს ატარებს შესაბამის ღონისძიებებს, წელს კი გადაწყვიტეს აჭარაში მოღვაწე ქართველი მწერლები მოეწვიათ, რათა უფრო ახლოს გაეცნოთ ისინი სტუდენტებისთვის.

- თუკი ჩვენ გვინდა დავრჩეთ ქართველებად, თუკი ჩვენ გვინდა, რომ ქართული ენა გადარჩეს, იცოცხლოს, ჩვენ უნდა ვიკითხოთ ამ ენაზე, უნდა ვწეროთ ამ ენაზე, უნდა გვიყვარდეს ამ ენაზე. და მაშინ, აღარ იქნება იმის საშიშროება, რომ გლობალიზაცია ჩვენნაირ მცირერიცხოვან ერს ჩაყლაპავს. მადლობა თითოეულ ადამიანს, ვინც დღევანდელი საღამო გაალამაზა, ვინც გაიზიარა ჩვენი სიხარული. მეამაყება, რომ ბათუმს ძალიან ბევრი ნიჭიერი მწერალი თუ პოეტი ჰყავდა და ჰყავს, რომლებიც განსაკუთრებული სიყვარულით ეფერებიან „ხმათა ხავერდების და ღმერთების ენას“, - თქვა შორენა მახაჭაძემ.

# „მე მიყვარს უჩამბა“

**ცოტნე ცაბაძე 27 48 93**

***უჩამბა გეოგრაფიული მდებარეობითა და ისტორიით გამორჩეული ადმინისტრაციული ერთეულია შუახევის მუნიციპალიტეტში. ისტორიული ციხის ნაშთები, ეკლესიების საძირკვლები, შუა საუკუნეების საქარავნო გზის ნიშნულები მრავლისმთქმელია***

ერისა და ქვეყნის სამსახურში მყოფი ადამიანების დამსახურებით, უჩამბა კიდევ უფრო წარმოჩნდება, რაც ამ დღეებშიც დადასტურდა. მდინარეების ჩირუხისწყლისა და ტბეთისწყლის შესართავთან, ისტორიული ოქროპილაურის ციხის ციტადელთან განთავსდა დაფა წარწერით „მე ❤ უჩამბა“. მისი ინიციატორია, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, მატერიალური თანადგომა კი ბიზნესმენმა, უჩამბის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ მოფრინეთის მკვიდრმა ჯემალ ბერიძემ გაუწია...

# გაცნობითი ტური – ხეობაში

**ცოტნე ცაბაძე 27 48 93**

***ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განყოფილების ორგანიზებით, ისტორიულ სხალთა-ხიხანის ხეობაში საინფორმაციო-გაცნობითი ტური მოეწყო***

ინფოტურის ფარგლებში, ახალგაზრდებმა სოფელ ბაკოში, სერიყანის უბანში, სელიმ ხიმშიაშვილის თავკვეთის ადგილი, სოფელ მთისუბანში, ქოჩახში, შერიფ ხიმშიაშვილის საფლავი, მთისუბნის ბუნებრივი მაცივარი, თხილვანის ნაეკლესიარი, ხიხაძირში - ისტორიული ციხისყელი და ვარდციხე მოინახულეს.



ინფოტურში, ხულოში გამართულ ინტელექტუალურ თამაშში „მეგატვინი“ საპრიზო (I, II) ადგილებზე გასული ახალგაზრდები მონაწილეობდნენ.

## ამბები

# შაბათ–კვირის ქრონიკა

ბსუ-ის ეზოში მეცენატ ავთანდილ ბარათაშვილის ხსოვნის პატივსაცემად მემორიალური ფილა გაკეთდა. ავთანდილ ბარათაშვილი 2007 წლიდან საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდა სხვადასხვა მიმართულებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ღვაწლი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარებაში. რამდენიმე წელია, მისი ინიციატივით, სოციალურად დაუცველი, წარჩინებული სტუდენტებისათვის გაიცემა სტიპენდიები. ბსუ-ში დაწესებულია ავთანდილ ბარათაშვილის სახელობის სტიპენდია, რომელსაც ყოველწლიურად 30-მდე სტუდენტი იღებს. ავთანდილ ბარათაშვილის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა არაერთი პროექტი. შედეგა ბსუ-ის 85 წლის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმის გადაღება. ახალი ლიტერატურით შეივსო ბიბლიოთეკის ფონდი, მოეწყო საუნივერსიტეტო სივრცეები და ლაბორატორიები. მეცენატმა უნივერსიტეტს ასევე გადასცა მუსიკალური ინსტრუმენტები და სპორტული ინვენტარი, ფინანსურ დახმარებას უწევდა უნივერსიტეტის „წარმატებული და სოციალურად დაუცველი სტუდენტების მხარდაჭერის ფონდს“.

* * *

აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია გრძელდება. ამ ეტაპზე მიმ-

დინარეობს შენობის კონსტრუქციების გამაგრება. სამუშაოები მიმდინარე წლის აგვისტოს ბოლომდე დასრულდება. პროექტის ღირებულება 1 მილიონ 480 ათას ლარს აღემატება.

* * *

ხელვაჩაურში ახალგაზრდობის ცენტრის მიერ ორგანიზებული ღია ბანაკი დასრულდა. ბანაკის მონაწილეებს სამი დღის განმავლობაში საშუალება ჰქონდათ, გასცნობოდნენ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ ფაკულტეტებს, ლაბორატორიას და მიეღოთ ინფორმაცია სხვადასხვა პროფესიის შესახებ. ღია ბანაკის მიზანიც სწორედ მათთვის პროფესიის შერჩევაში დახმარება და საჭირო ინფორმაციის მიწოდება იყო. ამასთან, მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სკოლის 27 მოსწავლეს სერტიფიკატები გადაეცა. პროექტის მონაწილეებს ხელვაჩაურის მერი შეხვდა.

* * *

შშმ მშობლებისთვის მატერიალური პრობლემების დაძლევისათვის აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს პროგრამა მუშაობს, რომელიც სამოქალაქო აქტივისტებთან ერთად შემუშავდა. როგორც უწყებაში ამბობენ, სასურველია პროგრამის მასშტაბების გაზრდა, რადგან მოწყვლადი ჯგუფების დახმარება აუცილებელი და სავალდებულოცაა.

**მოამზადა**
**ნაირა ფუტკარაძემ**

# სხვის განადგურებას თუ ლამობ, თავადვე განადგურდები

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*უკრაინაში გადამწყვეტი ბრძოლა მიმდინარეობს დასავლეთსა და რუსეთს შორის. ბოლო 32 წელია, უკრაინა დამოუკიდებლობის გზას ადგას, რომელიც წინააღმდეგობითაა სავსე. „ნარინჯისფერი“ რევოლუციის შემდეგ მან მკვეთრად ევროპული კურსი აირჩია და რუსეთის აგრესიამაც იმატა...*

ერთ წელზე მეტია, დამანგრეველ ომს, სისხლს, სიკვდილს ვუყურებთ უკრაინაში. რუსი ჯარისკაცები, თანამედროვე ფაშისტები, ხოცავენ უდანაშაულო ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს, აუპატიურებენ მანდილოსნებს და რაც უნდა დაუჯერებელი იყოს, ბავშვებსაც კი. დღე არ გავა, უმძიმესი ტრაგედიის შესახებ არ გავიგოთ - იავარქმნილი ქალაქები და სოფლები, ათიათასობით დახოცილი, ასიათასობით დაჭრილი და მილიონობით ლტოლვილი სწორედ იმას ცხადყოფს, რომ რუსეთის მთავარი მიზანი უკრაინის, როგორც სახელმწიფოს გაქრობაა.

უკრაინელთა თავდადება და დასავლეთისადმი მხარდაჭერა რომ არა, სავარაუდოდ, რუსეთი საწადელს მიაღწევდა. ევროპაში (თუ არ ჩავთვლით ბრიტანელებს, ფინელებსა და პოლონელებს) არ მეგულება ერი, რომელიც გაუმკლავდებოდა რუსულ არმიას და ეს შეძლო უკრაინამ. მეთხუთმეტე თვეა, ეს ქვეყანა არათუ უმკლავდება რუსეთს, არამედ კონტრშეტევაზეც გადადის. ხერსონის გათავისუფლება ამის დასტურია. ახლა ძირითადი ბრძოლა დონეცკის, ლუგანსკის რეგიონებში მიმდინარეობს. ბახმუტში უკრაინელმა სამხედროებმა გამოფიტეს რუსული არმია, ეს ქალაქი ახალი სტალინგრადია. პრაქტიკულად, ევროპა მესამე მსოფლიო ომის მონაწილეა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ასეთი ფართომასშტაბიანი ომი კონტინენტს არ ახსოვს. თითქმის მაინც ამ რეგიონებს ამოიღებს სამიზნეში რუსეთი? დასტურდება ინფორმაცია, რომ კრემლი აპირებდა მოლდოვაში სამოქალაქო ომის გაჩაღებას, მაგრამ ეს სცენარი ჩავარდა სწორედ დასავლეთის სპეცსამსახურების ძალისხმევით. კრემლს რომ ამ მიზნისთვის მიეღწია, უკრაინას მნიშვნელოვანი პრობლემები შეექმნებოდა.

თავიდათავი ის არის, რომ ოკუპირებულ დნესტრისპირეთში რუსული საოკუპაციო ჯარია განლაგებული. ეს რეგიონი ესაზღვრება ოდესის ოლქს... ახლა წარმოვიდგინოთ, რა მოხდებოდა, თუ მოლდოვის ხელისუფლებაში პრორუსული ძალები მოვიდოდა, ცხადია, რუსეთი ამ ქვეყნიდანაც შეუტევდა უკრაინას, რაც უამრავ პრობლემას წარმოშობდა კიევისთვის. ახლა სხვა ქვეყნებზე ვისაუბროთ. შუა აზიაში მხოლოდ ყაზახეთთან აქვს რუსეთს საზღვარი, რომელსაც ჩინეთი მფარველობს. ასე რომ, შუა აზიის დაპყრობა არც ისე ადვილია; ყარაბახში რუსეთის გავლენა განეიტრალებულია, რადგან აზერბაიჯანის მოკავშირე თურქეთია, სომხეთი კი გარკვეულწილად, სცილდება რუსეთს. ამ რეალობის გათვალისწინებით, ექსპერტები აცხადებენ, რომ ყველაზე სუსტ რგოლად ამ შემთხვევაში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები რჩება.

ამ ფონზე ჩვენმა ქვეყანამ უნდა იაქტიუროს ევროინტეგრაციის კუთხით. ჩვენ უნდა შევახსენოთ დასავლეთს, რომ რუსეთის პირველი მსხვერპლი საქართველო იყო. აშშ-ს და ევროკავშირს 2008 წელს მეტი სიხისტე რომ გამოეჩინა რუსეთთან მიმართებაში, მსოფლიო უკრაინის ტრაგედიის მომსწრე არ იქნებოდა. ამიტომ ამ დანაშაულზე პასუხისმგებლობა დასავლეთსაც ეკისრება. ისტორიულ წიაღსვლებში არ წავალ, მოკლედ ვიტყვი, რომ პუტინის მმართველობის პერიოდში აშშ და ევროკავშირი შეეგუენ და დროებით აღიარეს ევრაზიული სივრცე რუსეთის ინტერესების სფეროდ და ამავდროულად, დაეხმარნენ მას ეკონომიკურად, დასავლეთის კეთილგანწყობა რუსეთმა სათავისოდ გამოიყენა და მეზობელი ქვეყნების მიმართ აგრესიული ქმედებები განახორციელა.

დასავლეთმა ადრინდელი შეცდომები გააანალიზა და უკრაინას ყოველმხრივ ეხმარება. ექსპერტთა თქმით, რუსეთ-უკრაინის ომი შემდეგნაირად დასრულდება: შეიკრიბებიან მსოფლიოს, განსაკუთრებით დასავლეთის ლიდერები და ახალი გადანაწილება მოხდება. ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ მოვხდეთ რუსეთის გავლენის სფეროში, ანუ დამარცხებული მხარის გვერდით. მკითხველს შევახსენებ, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ჩვენ გერმანიის ბანაკში ვიყავით, რომელიც ამ ომში დამარცხდა, ამის გამო დავისაჯეთ. ტერიტორიის დაახლოებით 20 პროცენტი დავკარგეთ. დამარცხებულ ქვეყანას არაფერს პატიობენ. სწორედ ამის შესახებ საუბრობს აშშ-ის სამხედრო ძალების ყოფილი ხელმძღვანელი ევროპაში ბენ ჰოჯესი: „ვფიქრობ, საქართველომ უნდა გადაწყვიტოს, რა სურს, სად უნდა რომ იყოს მაშინ, როდესაც ეს ყველაფერი დამთავრდება.

თუ უკრაინა წარმატებული ვერ იქნება, ანუ რუსეთი დონბასის და ყირიმის ნაწილებს შეინარჩუნებს, მაშინ საქართველოს შეუძლია აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის ოდესმე დაბრუნება დაივიწყოს... ასე რომ, საქართველო უკრაინის წარმატებას უნდა იმედოვნებდეს“.

რუსეთის წინააღმდეგ კრიტიკულ შეფასებას არ იშურებენ დასავლელი ლიდერები. „რუსეთი ჩვეულებრივი მაფიოზური სახელმწიფოა“, - განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა მაკრონმა, რუსეთი კი იხტიბარს არ იტეხს და ემუქრება დასავლეთს: „ყველამ უნდა იცოდეს, რომ ჩვენ ატომური ქვეყანა ვართ“, - განაცხადა პუტინმა, ანუ მიანიშნა, რომ შესაძლოა ატომური იარაღი გამოიყენოს მიზნის მისაღწევად. დასავლეთი, როგორც ჩანს, ნელ-ნელა აცნობიერებს რუსეთის ფაშისტურ სულისკვეთებას და ცდილობს, ადეკვატური ზომები მიიღოს, ამიტომაც ნატო და აშშ თავდაცვის ზომებით დაემუქრნენ რუსეთს. „ჩვენ დავიცავთ ჩვენს მოკავშირეებს“, - განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა.

ცხადია, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი თავის წევრებს დაიცავს და ამაში გასაკვირი არაფერია, მაგრამ საკითხავია, რა ეშველება ნატოს მიღმა დარჩენილ საქართველოს და მოლდოვას? სწორედ ამ სახელმწიფოებზე ვარაუდობს რუსეთის აგრესიას ნატო.

რუსეთი რომ დამარცხდება უკრაინაში, შესაძლოა კრემლის მმართველმა ახალ ავანტიურას მიმართოს მმართველობის შესანარჩუნებლად. რატომ ამოიღო მიზანში ეს ორი ქვეყანა რუსეთმა? საქართველოზე კონტროლის დამყარებით აზერბაიჯანი და სომხეთი რეალური საფრთხის ქვეშ მოექცევიან, მოლდოვის ოკუპაციით კი უკრაინაზე, როგორც ვთქვით, აგრესიის გაგრძელება გაუდვილდება. რასაკვირველია, მოვლენათა სვლაზე დასავლეთის ქვეყნების პრინციპული პოზიცია მნიშვნელოვნად აისახება. გარდა ამისა, მოლდოვას შეუძლია, საგრძნობლად დაეხმაროს უკრაინას, თუ კიშინიოვი ღიად მოსთხოვს კიევს დნესტრისპირეთის გათავისუფლებას, - რამდენიმე დღეში შეუძლია უკრაინულ არმიას დნესტრისპირეთიდან რუსეთის საოკუპაციო ძალების განდევნა და ამით არა მარტო აღადგენს ტერიტორიულ მთლიანობას, არამედ ოდესაში განლაგებულ უკრაინულ არმიას მიეცემა შესაძლებლობა, სხვა ფრონტზე მიიტანოს იერიში, თუმცა კიშინიოვი ამ ნაბიჯს არ, ან ვერ დგამს, შესაძლოა, დასავლეთის რჩევის გამო. სამაგიეროდ ამოქმედდა რაციონალური ეკონომიკური სანქციები, სერიოზული სანქციები ჯერ კიდევ წინ არის... მაგალითად, შეიძლება ვილაპარაკოთ ბლოკადაზე, სამხედრო ოპერაციებზე და ა. შ.

საბოლოოდ ყველა ომი მთავრდება, ესეც დამთავრდება. ექსპერტთა ნაწილი თვლის, რომ რუსეთ-უკრაინის ომის ბედი, პრაქტიკულად, გადაწყვეტილია, კოლექტიური დასავლეთი არ დაუშვებს რუსეთის გამარჯვებას. „რამშტაინის“ შეხვედრაზე მკაფიოდ ითქვა, რომ დასავლეთი ყველაფერს გააკეთებს უკრაინის გასამარჯვებლად რუსეთთან ომში. თავის მხრივ, ჩინეთი და ინდოეთი ლავირებენ და ცდილობენ, ეს ომი დიდხანს გაგრძელდეს. ამით ხომ, გარკვეულწილად, რუსეთიც და დასავლეთიც ზარალდებიან სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით... დასავლეთი თანმიმდევრულად იღვწის რუსეთის დასამარცხებლად, რადგან ეს სახელმწიფო საფრთხეს უქმნის ცივილიზებულ მსოფლიოს. ისტორიული წარსული ცხადყოფს, რომ ყველა დროში, იმპერიების მცდელობა, დააშინოს, მოსპოს სხვა, სამომავლოდ სწორედ მისივე კატასტროფით მთავრდება, ანუ სხვის განადგურებას თუ ლამობ, თავად განადგურები.

> *„ყარაბახში რუსეთის გავლენა განეიტრალებულია, რადგან აზერბაიჯანის მოკავშირე თურქეთია, სომხეთი კი გარკვეულწილად, სცილდება რუსეთს. ამ რეალობის გათვალისწინებით, ექსპერტები აცხადებენ, რომ ყველაზე სუსტ რგოლად ამ შემთხვევაში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები რჩება*

## უცხოეთი

**ევროკავშირი ჩინური კომპანიებისთვის სანქციების დაწესებას აპირებს. დასავლური მედიის ცნობით, აკრძალვები იმ კომპანიებს შეეხება, რომლებიც რუსეთს ომის წარმოებაში ეხმარებიან. შავ სიაში შვიდი ჩინური კომპანია მოხვდება. მათ ბრალი ედებათ იმ აღჭურვილობის გაყიდვაში, რომელიც შესაძლოა რუსეთის შეიარაღებაში გამოიყენება. ამ ცნობას კრემლი კატეგორიულად უარყოფს. საკითხს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები სავარაუდოდ მიმდინარე კვირაში განიხილავენ. ოფიციალური პეკინი ევროკავშირის შეთავაზებულ სანქციებს უკანონოს უწოდებს. ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, რომ ქვეყანას უკრაინაში მიმდინარე ომში მუდამ მიუკერძოებელი პოზიცია აქვს.**

* * *

**თურქეთის პრეზიდენტმა ოპოზიციური ალიანსი LGBT თემისა და ტერორიზმის მხარდაჭერაში დაადანაშაულა. მწვავე განცხადებები რეჯეფ თაიფ ერდოღანმა სტამბოლში გამართულ მიტინგზე გააკეთა, რომელსაც მედიის მონაცემებით, მილიონ 700 ათასზე მეტი ადამიანი ესწრებოდა. განსაკუთრებულად კრიტიკული ერდოღანი პრეზიდენტობის ოპოზიციონერი კანდიდატის ქემალ კილიჩდაროღლუს მიმართ იყო, რომელსაც მან ლოთი უწოდა. საპრეზიდენტო არჩევნები თურქეთში 14 მაისს გაიმართება. გამოკითხვებით, ოპოზიციის კანდიდატი მოქმედ პრეზიდენტს რეიტინგით უსწრებს და არჩევნების მეორე ტურში გამარჯვების რეალური შანსი აქვს. გამარჯვების შემთხვევაში, კილიჩდაროღლუ საპარლამენტო მმართველობის, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და დასავლეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების პირობას იძლევა.**

* * *

**ირანისა და შვედეთის ორმაგი მოქალაქე ჰაბიბ ჩააბი ირანში სიკვდილით დასაჯეს. მას ბრალდება 2018 წლის სამხედრო აღლუმის დროს მომხდარ აფეთქებაში მონაწილეობისთვის წაუყენეს. ჩააბი ირანის უსაფრთხოების ძალებმა თურქეთში დააკავეს, რის შემდეგაც თეირანში გადაიყვანეს. ირანის უმაღლესმა სასამართლომ სიკვდილით მისი დასჯის გადაწყვეტილება მარტში მიიღო. შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ჩააბის სიკვდილით დასჯის ფაქტს „შემაშფოთებელს“ უწოდებს.**

* * *

**ინდოეთის შტატ მანიპურში ეთნიკური შეტაკებების შედეგად, სულ მცირე, 30 ადამიანი დაიღუპა. პროტესტი უმრავლესობაში მყოფი ეთნიკური ჯგუფისთვის ტომის სტატუსის მინიჭებას მოჰყვა. აღნიშნული სტატუსი კონკრეტულ ჯგუფს გარკვეულ პრივილეგიებს მიანიჭებდა, რითაც საფრთხე დაემუქრა სხვა ჯგუფების წარმომადგენელთა მიწაზე საკუთრების უფლებას. ისინი შიშობენ, რომ მთავრობის ამ გადაწყვეტილებით წინაპრების მიწებს დაკარგავენ. პროტესტი ძალადობაში გადაიზარდა. კონკრეტული დაჯგუფებები თავს დაესხნენ სახლებს, მანქანებს, ეკლესიებსა და ტაძრებს. ზოგიერთი ცნობით, დაღუპულთა რიცხვი 54-მდე გაიზარდა, დაზარალებულია 10 000-მდე პირი.**

**მოამზადა**
**ია შველიძემ**

# „მრავალი ფაქტის გამო ვალში ვართ ჩვენი ყველაზე დიდი პარტნიორი და მეგობარი ერის წინაშე“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

***დღესდღეობით უკრაინა, რომელიც თავგანწირვით იბრძვის საკუთარი იდენტობის, სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისა და, ასევე, პოსტსაბჭოთა ქვეყნების თავისუფლებისთვის, მთელი მსოფლიოსთვის მთავარი თემაა***

*უკრაინელ ბავშვებს ეხმარება არაერთი ქვეყანა, მათ შორის საქართველოც, იმართება მნიშვნელოვანი ღონისძიებები უკრაინელთათვის. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტი ამ კვირაში - 13 მაისს დაიწყება, კერძოდ, საქართველოში აშშ-ის საელჩოს მხარდაჭერითა და დაფინანსებით ბათუმში პროექტ „უკრაინელი ქალებისა და გოგონების ინტეგრირება“ განხორციელება იწყება. ხაზგასასმელია ისიც, რომ აშშ-ის საელჩომ საქართველოში წარდგენილი ათობით პროექტის გაცნობისას პრიორიტეტი ჩვენს დღევანდელ რესპონდენტ ეკა დავითაძის პროექტს მიანიჭა, რაც მრავლისმთქმელი და საამაყოა (ეკა წლების განმავლობაში ჩვენი გაზეთის თანამშრომელი იყო). სხვადასხვა დროს მუშაობდა საჯარო სამსახურში საპასუხისმგებლო პოზიციებზე, მესამე სექტორშიც... ბოლო წლებში წარმატებით ახორციელებს საგანმანათლებლო პროექტებს, ასევე საქველმოქმედო (ფონდ „ალილო-2015“ -ის ფარგლებში) გაცვლით პროგრამას. მაშ, ასე, გვესაუბრება უკრაინის დახმარების ჰუმანიტარული შტაბის საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორი ეკა დავითაძე.*

**- მალე ბათუმში დაიწყებთ პროექტ „უკრაინელი ქალებისა და გოგონების ინტეგრირების“ განხორციელებას. როგორ დაიბადა ამ პროექტის იდეა და რა მიზანს ემსახურება?**

- ძალიან მიხარია, რომ კიდევ ერთხელ მოგვეცა შანსი და ბათუმში დროებით მცხოვრებ ომსთავდაღწეულ ჩვენს უკრაინელ მეგობრებს სხვადასხვა სერვისის შეთავაზებით ადგილობრივ თემში ინტეგრაციის შესაძლებლობას მივცემთ. რაც შეეხება პროექტის იდეას, მას შემდეგ გაჩნდა, როცა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ საქართველოში და „სონიაშნიკმა“ საგრანტო კონკურსი გამოაცხადეს. „სონიაშნიკ-□□□□□□□□“-ი ამერიკის საელჩოს მიერ დაფინანსებული პროგრამაა, რომელიც თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში მცხოვრები უკრაინიდან იძულებით გადაადგილებული მოქალაქეების მხარდასაჭერად შეიქმნა.

**- როცა პროექტი თანამოაზრეებს გააცანით, როგორი იყო მხარდაჭერა, რჩევა, წინადადება?**

- ბოლო წელიწადია, ჩვენი ძირითადი საქმიანობის პარალელურად, შესაძლებლობის ფარგლებში, გვერდით ვუდგავართ ბათუმში მცხოვრებ უკრაინელ დევნილებს. გასულ წელს, ომის დაწყებიდან ორ დღეში, გენო თებიძის ინიციატივით, ბათუმში უკრაინის დახმარების ჰუმანიტარული შტაბი გაიხსნა. სწორედ იმ დღიდან, ჩემს მეგობრებთან ერთად, აქტიურად ვარ ჩართული უკრაინელების საჭიროებების გამოვლენაში, გვაქვს დევნილების საკმაოდ დიდი ბაზა. ამ პერიოდიდან მოყოლებული, თითქმის 7000-მდე უკრაინელს გავუწიეთ სხვადასხვა დახმარება, იქნებოდა ეს საცხოვრებლით, პროდუქტებით, ტანსაცმლით და მედიკამენტებით უზრუნველყოფა თუ სამედიცინო და საგანმანათლებლო (სკოლა, საბავშვო ბაღი, სხვადასხვა პროფესიული თუ უმაღლესი სასწავლებელი) დაწესებულებებში კონსულტაციები და დოკუმენტაციების მოგვარება, თუმცა, ამ დრომდე რჩება უამრავი პრობლემა, მათ შორის ადგილობრივ თემში ინტეგრირება და სხვადასხვა შიშისა და ტრავმის დაძლევა. ამიტომაც თავდაუზოგავად ვშრომობთ, აქტიურად ვთანამშრომლობთ საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, რომ მიიღონ მეტი სერვისი და სხვადასხვა პროექტში ჩაერთონ, რაც უცხო ქვეყანაში ცხოვრების, ომითა და ახლობლების დაკარგვით გამოწვეულ სტრესს მეტ-ნაკლებად დააძლევინებს. როგორც უკვე აღვნიშნე, ის პასუხისმგებლობა, რაც აღნიშნული პროექტის განხორციელებისას გვეკისრება, გასული წლის თებერვლიდან მოყოლებული, ჩვენი ყოველდღიურობაა. საგრანტო კონკურსის განაცხადი რომ ვნახე, ჩავთვალე, რომ ეს შესაძლებლობა უნდა გამომეყენებინა. ვესაუბრე ზიმლარ ბერიძეს, რომელიც ჩემი უახლოესი მეგობარი და დასაყრდენი თანამოაზრეა, აბსოლუტურად შეთანხმებულად განვსაზღვრეთ პრიორიტეტები და დავიწყეთ სამიზნე აუდიტორიის საჭიროებების მოკვლევა. ამასთანავე, მნიშვნელოვანი იყო, შეთავაზებული სერვისებით ისეთ ადამიანებს ესარგებლათ, რომლებსაც სხვადასხვა პროგრამაზე ჯერ არ ჰქონდათ წვდომა. მოგვიანებით, შევჯერდით ფორმატზე, შინაარსზე და საპროექტო განაცხადი შევავსეთ. რაც შეეხება გუნდს, რომელიც იმუშავებს, ის ადამიანები არიან, რომლებსაც სხვადასხვა დროს სხვადასხვა პროექტის ფარგლებში აქვთ უკრაინიდან იძულებით გადაადგილებულ მოქალაქეებთან მუშაობის გამოცდილება, არიან თავიანთი საქმის პროფესიონალები და მხარს უჭერენ უკრაინელ მამაც ხალხს ოკუპანტი რუსეთის წინააღმდეგ სამშობლოს თავდაცვით ბრძოლაში.

**- როგორც აღნიშნეთ, პროექტის განხორციელებაში „სონიაშნიკის“ ხელმძღვანელი და აშშ-ის საელჩო დაგეხმარათ...**

- „სონიაშნიკი“, რაც გრანტი მოვიპოვეთ, ტექნიკურ საკითხებში ნამდვილად გვეხმარება და ამისთვის ძალიან დიდი მადლობა მამუკა საფარაიძეს, მაგრამ ჩვენი პროექტი, გამჭვირვალედ, 30 პროექტიდან შეირჩა. გვქონდა გასაუბრება შერჩევის პირველ და მეორე ეტაპზე. შემდეგ დეტალები დავაზუსტეთ. კარგია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები და საელჩოები ზრუნავენ უკრაინელი დევნილების საჭიროების დაკმაყოფილებაზე. ამ კუთხით ამერიკის შეერთებული შტატების აქტიურობა გამორჩეულია.

**- მსგავსი პროექტები კიდევ სად ხორციელდება და რა ნოვაციით გამოირჩევა?**

- საგრანტო კონკურსი გამოცხადდა სამ დიდ ქალაქში - თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში პროექტების განხორციელებისთვის, საბოლოოდ, ორი პროექტი თბილისში დაფინანსდა, ორი - ბათუმში. დედაქალაქში: 1. უკრაინელი ქალები შეისწავლიან ჭრა-კერვასა და ტანსაცმლის დიზაინს ერთ-ერთ ფაბრიკაში, სადაც წარმატებული კურსდამთავრებულები დასაქმდებიან კიდევაც; 2. დრამათერაპია - უკრაინელი დედებისა და გოგონებისთვის. თერაპია ბენეფიციარებს დაეხმარება პოსტტრავმულ აშლილობასთან გამკლავებაში. რაც შეეხება ბათუმს, აქ ორი პროექტი შეირჩა: უკრაინელი მშობლებისთვის - ქალთა კლუბი (ინგლისური ენის კურსი, სპორტის გაკვეთილები, არტთერაპია) და ჩვენი გუნდი.

**- პროექტის ფარგლებში, უკრაინელ გოგონებსა და ქალებს რა აქტივობებს შესთავაზებთ?**

- საჭიროებების კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, განვსაზღვრეთ აქტივობები და, საბოლოოდ, ძალიან სანტერესო გეგმა შევადგინეთ. პროექტის ფარგლებში, 14-18 წლის გოგონებსა და ქალებს ჩაუტარდებათ არტ და ფსიქოთერაპია, ქართული სიმღერისა და ცეკვის მასტერკლასები, ეზიარებიან ქართული სამზარეულოს მრავალფეროვნებას, გაეცნობიან საქართველოს/აჭარის ისტორიასა და კულტურას.

**- შეგიძლიათ დეტალურად ისაუბროთ, რატომ შეჯერდით ზემოთ ჩამოთვლილ აქტივობებზე?**

- ცხადია, ომის შედეგად უკრაინელი ქალები და გოგონები იმყოფებიან ტრავმულ სტრესში და დიდი ხანია სწავლობენ ახალ პირობებში ცხოვრებას, განიცდიან კატასტროფის შედეგებს, საყვარელი ადამიანების დაკარგვას, განშორებას, მარტოობას... ამიტომ, ფსიქოლოგიური რესურსის აღსადგენად, აუცილებელია საკომუნიკაციო ტრენინგების ჩატარება, რომლითაც ქალებსა და მოზარდებს შეეძლებათ სტრესისგან თავის დაღწევის გზების პოვნა. უკრაინელი ქალებისა და მოზარდების ადაპტაციისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის აღდგენის ფსიქოლოგიურ ტრენინგებზე რესურსების შესაფასებლად, შევთავაზებთ სპეციალურ სავარჯიშოებს, ჩატარდება ტესტირება და პროექციული ტექნიკის გამოყენება, „სიმვოლდრამის“ მეთოდით შეასრულებენ რელაქსაციის ვარჯიშებს. არტთერაპიული მეთოდების, როგორიცაა ხატვით თერაპია, ძერწვა, თამაშით თერაპია, კინოთერაპია, მუსიკათერაპია და სხვათა გამოყენებით შესაძლებელი იქნება უკრაინელი ომით დაზარალებული ქალებისა და მოზარდების მდგომარეობის შემსუბუქება, სტრესისა და პოსტტრავმული სიმპტომების მოხსნა, თვითგამორკვევა, არაცნობიერი პროცესების გაცნობიერება, ინტერპერსონალური ურთიერთობების დარეგულირება და კრეატიულობის განვითარება. დაგეგმილი გვაქვს კულტურულ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში ვიზიტი, აჭარის მუზეუმებში დაცული ისტორიული, კულტურული და ეთნოგრაფიული ექსპონატების გაცნობა მათ წარმოდგენას შეუქმნის ჩვენი ქვეყნის მდიდარი ისტორიის შესახებ, ასევე, შეისწავლიან ქართულ ხალხურ ცეკვასა და ტრადიციულ სიმღერას, ჩაუტარდებათ აჭარული ხაჭაპურის მასტერკლასი - გამოცდილ მზარეულებთან ერთად დაამზადებენ ჩვენი კუთხის სავიზიტო კერძს. დამერწმუნეთ, საკმაოდ კარგად ნაფიქრი, გაანალიზებული და შედეგებზე ორიენტირებული აქტივობებია. ამის თქმის შესაძლებლობას მაძლევს გუნდი, ვისთან ერთადაც ვიმუშავებ. ესენი არიან: მობილიზატორი - ზიმლარ ბერიძე, არტთერაპია - ნანა ტუხაშვილი, ფსიქორეაბილიტაცია - ოლენა ბელიკოვა (უკრაინიდან დევნილი, ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორი), ქართული ცეკვის მასტერკლასი - ნინო მენაბდიშვილი, ქართული სიმღერის მასტერკლასი - მაია გოგიჩაიშვილი, გიდი - თამარ ორაგველიძე.

**- უნარი ან თვისება, რომელიც გეხმარებათ ამ პროექტის განხორციელებაში...**

- როცა ითავისებ, რომ სხვების დახმარება შეგიძლია და ეს ადამიანები იმ ერის შვილები არიან, რომელიც 15 თვეა, თავდაცვით ომში, რუსეთის სახით ყველაზე დიდ ბოროტებას ებრძვის, ვფიქრობ, საკუთარ თავში ყველა რესურსს უნდა მოუყარო თავი და დევნილთა ყოფის გაუმჯობესებისთვის შეუძლებელი შეძლო. გზა, რომელსაც ახლა უკრაინა და უკრაინელი ხალხი გადის, 1992-1993 წლებში და 2008 წელს გავიარეთ. სამწუხაროდ, „ბორდერიზაცია“ და რუსი სამხედროების მიერ ჩვენი მოქალაქეების უკანონო გატაცება დღესაც გრძელდება, ამიტომ რაც ახლა მეგობარ ქვეყანაში ხდება, ჩვენთვის ძალიან ახლობელია, ჩემთვის - განსაკუთრებით. სამხედრო პირის ოჯახში გავიზარდე, მამაჩემი ქართული არმიის ჩამოყალიბებისთანავე ქვეყნის სამსახურში ჩადგა და სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად ემსახურა, მონაწილეობდა ტერიტორიული მთლიანობისთვის ყველა თავდაცვით ომში... მოკლედ, იმის თქმას ვცდილობ, რომ დღეს უკრაინელი ხალხის გვერდით დასადგომად განსაკუთრებული უნარები არ არის საჭირო, მით უფრო, როცა მრავალი ფაქტის გამო ვალში ვართ ჩვენი ყველაზე დიდი პარტნიორი და მეგობარი ერის წინაშე. ბევრი საუბრობს და ფაქტები გვაქვს, რომ უკრაინა იყო მსოფლიოში ერთადერთი სახელმწიფო, რომელმაც 1993 წელს აფხაზეთიდან დევნილების ევაკუაცია დაიწყო. მათ 17 შვეულმფრენის საშუალებით მოახდინეს 291 აფრენა და იმ პირობებში, როცა რუსი და აფხაზი სეპარატისტები პირდაპირი დამიზნებით ისროდნენ, 7643 ქართველის სიცოცხლე გადაარჩინეს. რამდენიმე უკრაინული გემითაც მიმდინარეობდა დევნილების ევაკუაცია. გარდა ამ ოპერაციისა, მნიშვნელოვანი ჰუმანიტარული დახმარება გაგვიწიეს, ასევე, უკრაინელი მეომრები იბრძოდნენ საქართველოს მხარეს აფხაზეთის ომში, აგვისტოს ომის დროს კი, საერთაშორისო და ჰუმანიტარული დახმარების გარდა, უკრაინის პრეზიდენტი პირადად ეწვია თბილისს და იმ მძიმე დღეებში ჩვენ გვერდით იდგა... კიდევ ბევრი ფაქტის მოყვანა შეიძლება, თუმცა აქ შევჩერდეთ.

**- დაბოლოს, როგორც უკრაინელი ბავშვების გულშემატკივარი, რას გეგმავთ, რას გააკეთებდით მათთვის?**

- უახლოეს მომავალში სიამოვნებით დავგეგმავდი მშვიდობიან აქცია-ღონისძიებას და ბათუმში დროებით მცხოვრებ უკრაინელ ბავშვებს გამარჯვებულ უკრაინაში საზეიმოდ გავაცილებდი. მჯერა, ეს დღეც მალე დადგება, თუმცა მანამდე ხელშეწყობა გვჭირდება, რომ მსგავსი პროექტებით შევცვალოთ მეგობრების ყოველდღიურობა.

> ***„ცხადია, ომის შედეგად უკრაინელი ქალები და გოგონები იმყოფებიან ტრავმულ სტრესში და დიდი ხანია სწავლობენ ახალ პირობებში ცხოვრებას, განიცდიან კატასტროფის შედეგებს, საყვარელი ადამიანების დაკარგვას, განშორებას, მარტოობას... ამიტომ, ფსიქოლოგიური რესურსის აღსადგენად, აუცილებელია საკომუნიკაციო ტრენინგების ჩატარება, რომლითაც ქალებსა და მოზარდებს შეეძლებათ სტრესისგან თავის დაღწევის გზების პოვნა***

# „მალტა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას სრულად უჭერს მხარს“

ეს სიტყვები მალტის რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე ანჯელო ფარუჯას ეკუთვნის. როგორც მან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, „საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრაზე აღვნიშნე, რაც საჭირო იქნება ჩვენი პარლამენტის მხრიდან, შეგვიძლია, განვიხილოთ და გავაძლიეროთ ძალისხმევა, რაც უზრუნველყოფს საქართველოს ევროკავშირში სრულ წევრობას“, - აღნიშნა ანჯელო ფარუჯამ.

ცნობისთვის: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე სამუშაო ვიზიტის ფარგლებში მალტელ კოლეგას საპარლამენტო დელეგაციასთან ერთად გუშინ შეხვდა.

მხარეებმა აღნიშნეს, რომ ევროკავშირის მხრიდან ქვეყნის ევროპული პერსპექტივის აღიარებით, საქართველოსა და მალტას შორის კავშირების გაღრმავების საჭიროება გაჩნდა. შეხვედრის მონაწილეებმა ასევე მიმოიხილეს ორ ქვეყანას შორის პარტნიორობა ხალხთაშორის ურთიერთობების, განათლების, ზღვაოსნობის, ტრანსპორტის, ენერგეტიკის და სხვა მიმართულებებით.

„გვქონდა შინაარსობრივი საუბარი, მათ შორის, მალტის, როგორც მოსახლეობით პატარა ქვეყნის, გამოცდილებაზე ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე და ვფიქრობ, ეს გამოცდილება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი და გასაზიარებელია. მოხარული ვარ, რომ ბევრი საერთო საკითხი გამოვნახეთ მალტელ კოლეგებთან. ჩვენ გვაქვს აბსოლუტური მხარდაჭერა მათი მხრიდან არა მხოლოდ საქართველოს წინსვლისთვის ევროინტეგრაციის გზაზე, არამედ საქართველოს ევროკავშირში სწრაფად გაწევრიანების მხრივ“, - განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

ამირან გურიელიძე

# ფილმის უმთავრესი ნაწილი სიყვარულის ამბავს დაუთმო

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

*მალე მაყურებელი ახალ მხატვრულ ფილმს იხილავს სახელწოდებით „სიყვარულის კოქტეილი“. პრემიერა 10 მაისს კინოთეატრ „აპოლოში“ 19:00 საათზე გაიმართება (დასწრება თავისუფალია). „სიყვარულის კოქტეილი“ პროგრამის „კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა“" ერთ-ერთი გამარჯვებულია. ფილმის მონტაჟი ბათუმის მერიის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარეობდა.*

*რეჟისორი ბათუმელი ნიჭიერი გოგონა **ქეთევან ტაკიძე** გახლავთ. იგი ფილმის სპეციფიკასა და ზოგადად თავის შემოქმედებაზე გვესაუბრება.*

**- ქეთი, რატომ აირჩიეთ ეს პროფესია?**

- ყოველთვის მინდოდა კინორეჟისორი ვყოფილიყავი. ბავშვობაში, როდესაც ამა თუ იმ ნაწარმოებს ვკითხულობდი, მთელ სიუჟეტს კადრებად წარმოვიდგენდი, თუმცა აბიტურიენტობისას, როცა საკითხი დადგა - რა პროფესია უნდა ამერჩია, ჩემი ოჯახი რატომღაც რეჟისურაზე ჩემი ჩაბარების წინააღმდეგ წავიდა. იმ მომენტში სუსტი აღმოვჩნდი და ოჯახის წევრებს დავუჯერე. გავითვალისწინე მათი აზრი და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე ჩავბარე. უკვე მესამე კურსზე დავრწმუნდი, რომ ეს არ იყო ის პროფესია, რომელსაც მთელ ჩემს ცხოვრებას დავუთმობდი. ამიტომ ჩუმად გავედი გამოცდაზე და ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში კინო-ტელე რეჟისურის ფაკულტეტზე ჩავირიცხე. ეს ამბავი მხოლოდ ჩაბარების შემდეგ ვუთხარი დედაჩემს. გამიხარდა, რომ უარყოფითად აღარ შეხვდა, სრული მხარდაჭერა გამომიცხადა. ვფიქრობ და ყოველ ჯერზე ვრწმუნდები, რომ სწორად მოვიქეცი. ადამიანებმა ის საქმე უნდა აკეთონ, რაც უყვართ და ბედნიერებას ანიჭებთ. ასეთ დროს პრობლემებსაც ადვილად უმკლავდები, რომელიც ამ პროფესიას ახლავს.

**- მაინც რა მოგწონთ ამ საქმეში ყველაზე მეტად?**

- მთელი გულწრფელობით შემიძლია ვთქვა, ამ საქმის ყველა დეტალი ერთნაირად მიყვარს, მოსამზადებელი პერიოდით დაწყებული და სამაგიდო სამუშაოებით დამთავრებული. გადაღების მოედანზე რომ დგები და ამბობ - „მატორ, ვიწყებთ!“ ამ დროს, ასე მგონია, ყველაზე ბედნიერი ადამიანი ვარ.

**- მაყურებელი მალე იხილავს თქვენს ფილმს, რა ამბავს გვიყვება იგი?**

- „სიყვარულის კოქტეილის“ იდეა ექსპრომტად დაიბადა. ფილმი ერთი გოგონას ისტორიას მოგვითხრობს, რომელიც სოფელ თაგოში ცხოვრობს. გარკვეული მიზეზების გამო მისთვის უცხო გარემოში გადასვლა მოუწევს - ქალაქში, სადაც თავი უნდა დაიმკვიდროს და საკმაოდ კარგად გაართმევს თავს. მთელ სიუჟეტს ვერ გავამხელ, მაგრამ ფილმის შინაარსი და იდეა ქალის სიძლიერესა და შეუპოვრობას ემსახურება. მოგვითხრობს, როგორ შეიძლება მიაღწიო დასახულ მიზანს.

**- რატომ „სიყვარულის კოქტეილი?“, საიდან გაჩნდა სახელწოდების იდეა?**

- სახელიც უცებ, ინსტინქტურად დავარქვი. ბევრჯერ ვიფიქრე შეცვლაზეც, მაგრამ ბოლოს მაინც დავტოვე. მთავარი გმირი გოგონა, მისთვის უცხო გარემოში ახალგაზრდა ბიჭს შეხვდება. ეს გრძნობაც მისთვის უცხო და უჩვეულოა, რომელიც კოქტეილს წააგავს, ის ხომ რამდენიმე კომპონენტისგანაა მომზადებული. ასეთივეა ამ გოგოს გრძნობებიც. ცხოვრებაში ყველაზე მთავარი სიყვარულია, ამიტომ ჩემი ფილმის უმთავრესი ნაწილიც სიყვარულის ამბავს დავუთმე.

**- ფილმში მოყვარული მსახიობები თამაშობენ?**

- დიახ, ბევრი მოყვარული მსახიობი მყავს. ძალიან მიყვარს ისეთი შემსრულებლების შერჩევა, რომლებსაც არ აქვთ სამსახიობო განათლება. ერთ-ერთ მთავარ როლზე იმავე სოფლის მკვიდრი ვათამაშე, გადაღება სადაც მიმდინარეობდა - დედის როლზე ქალბატონი გულნაზი დუმბაძე, ასევე მთავარი როლის შემსრულებლის დის გმირიც არაპროფესიონალი მსახიობი მარიამ მახარაძეა, რომელიც მეოთხე კლასშია და საოცარი მონდომებით მოეკიდა ამ საქმეს. სიამოვნებას ანიჭებდა, რასაც აკეთებდა და ეს ყველაზე მნიშვნელოვანია. ყველა მსახიობისთვის ეს სადებიუტო სრულმეტრაჟიანი ფილმია. ძალიან მადლობელი ვარ იმ შრომისთვის, რაც მათ ამ ფილმში ჩადეს.

**- როგორ შეარჩიეთ ისინი, რის მიხედვით?**

- მსახიობები ტიპაჟების მიხედვით შევარჩიე და ასევე სახასიათო გარეგნობით. შერჩეულ მსახიობებს რამდენიმე ფრაგმენტი მივეცი და სატესტოდ გადავიღე რამდენიმე კადრი. ასევე, ვითვალისწინებდი კადრში რამდენად შეერწყმებოდნენ ერთმანეთს.

**- რამდენად სასიამოვნოა თქვენთვის გადაღების პროცესი?**

- გადაღებების პროცესი, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დიდ შრომას და ძალისხმევას მოითხოვს, ერთადერთი რამ არის, რისი კეთებაც არასოდეს მომბეზრდება.

**- გარდა „სიყვარულის კოქტეილისა“, კიდევ თუ გაქვთ გადაღებული სხვა ფილმები?**

- გარდა ამ ფილმისა, მაქვს გადაღებული „ეპიდსიტუაცია“, რომელიც მუშა პროცესშია. ახლახან, შემოქმედებითმა ჯგუფმა რამდენიმე მნიშვნელოვანი ისტორიის დამატება გადავწყვიტეთ და გადაღებების დანიშვნას ვგეგმავთ. ამ ისტორიების გადასაღებად ახალ მსახიობებსაც შევარჩევთ.

**- ფილმის შექმნის დროს ოდესმე გაგითვალისწინებიათ, რა დაინტერესებდა ან მოეწონებოდა მაყურებელს?**

- რა თქმა უნდა, მაგრამ მე ისტორიას ვყვები და ის შეიძლება ბევრს არ მოეწონოს, ბევრს კიდევ - პირიქით. მზად ვარ, მაყურებლისგან როგორც დადებითი, ასევე, უარყოფითი შეფასებები მოვისმინო, რათა სამომავლოდ გავითვალისწინო.

**- როგორც ვიცი, ფოტოგრაფიითაც ხართ დაკავებული და საკუთარი ფოტოსტუდია გაქვთ... ამ მხრივ რამდენად აქტიურად მუშაობთ?**

- ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიურის აღება სწორედ სტუდიის გახსნის იდეის გამო გადავწყვიტე. ძალიან მომწონს ეს სფერო. არამხოლოდ ფოტოებს ვიღებთ, ორგანიზებას ვუკეთებთ ქორწილებს და სხვადასხვა დღესასწაულს დიზაინის, ფოტოს, ვიდეოს და სხვა ყველა დეტალის გათვალისწინებით, რაც შეიძლება წვეულებას დასჭირდეს. ბოლო რამდენიმე წელია, აქტიურად აღარ ვარ ამ საქმეში, რადგან ფილმის გადაღების სურვილმა მძლია. მინდოდა პროფესიაში რაღაც წინსვლა მქონოდა და პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმი გადამეღო. დიდხანს ვფიქრობდი ამაზე, მეშინოდა პირველი ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ როცა ეს ემოციები ჩემს ლექტორს, ბატონ ზაზა ხალვაშს გავუზიარე (მაშინ ცოცხალი იყო) და ვუთხარი ჩემი შიშების შესახებ (მეშინოდა, იქნებ ფილმი არ მოეწონოთ, იქნებ რაღაც არ გადავიღო ისე, როგორც კინემატოგრაფიის წესებშია), ბატონმა ზაზამ მითხრა: თუ არ გადაიღებ, ვერ მიხვდები, რა გამოგივიდა ცუდად და რა - კარგად, ამიტომ მაგაზე არ იფიქროო. ამ სიტყვებმა მომცა სტიმული, რისთვისაც ყოველთვის მადლობელი ვიქნები მისი.

**- დაბოლოს, რას ისურვებდით საკუთარი თავისთვის როგორც პიროვნულად, ისე პროფესიულად?**

- პიროვნულად ვისურვებდი, არასოდეს არავის გადავაბიჯო ჩემი ინტერესების გამო. შევძლო, ყოველთვის ვიყო საკუთარ თავთან მართალი. პროფესიულად ძალიან ბევრი რამ მინდა ვუსურვო ჩემს თავს, რაც ყველაზე მთავარია - შევძლო კარგი ფილმის გადაღება.

> *„სიყვარულის კოქტეილის“ იდეა ექსპრომტად დაიბადა. ფილმი ერთი ახალგაზრდა გოგონას ისტორიას მოგვითხრობს, რომელიც სოფელ თაგოში ცხოვრობს. გარკვეული მიზეზების გამო მისთვის უცხო გარემოში გადასვლა მოუწევს - ქალაქში, სადაც თავი უნდა დაიმკვიდროს და საკმაოდ კარგად გაართმევს თავს*

## უკრაინა

უკრაინის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ანა მალიარი არ გამორიცხავს, რომ 9 მაისს, როდესაც რუსები 1941-1945 წლების „დიდ სამამულო ომში“ „გამარჯვების დღეს“ აღნიშნავენ, უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესია გამწვავდეს. „შეუძლებელია 100%-ით დადასტურება ან უარყოფა. ვიდრე ომი გაგრძელდება, ესკალაციის ალბათობა ყოველთვის იქნება, თარიღის მიუხედავად“, - აღნიშნა უკრაინის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ. მალიარის თქმით, რუსებს უყვართ თარიღები და ისტორიული პარალელები, მაგრამ იყო საკმაოდ ბევრი ისტორიული და სადღესასწაულო თარიღი, როდესაც გამწვავება არ მომხდარა. „ამიტომ, შეიძლება იყოს ან არ იყოს გამწვავება. ჩვენ ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ მტრის მზაკვრული ქმედებისთვის და თავდაცვისთვის“, - აღნიშნა მან. რუსულმა ძალებმა ბოლო დღეებში ბახმუტის დაბომბვის ინტენსივობა საგრძნობლად გაზარდა, მაგრამ უკრაინის თავდაცვის ძალები ქალაქის შენარჩუნებას ახერხებენ. არსებული სიტუაციის კომენტირებისას, უკრაინის არმიის აღმოსავლეთის დაჯგუფების მეთაურმა ალექსანდრე სირსკიმ განაცხადა, რომ რუსები ყველანაირად ცდილობენ ბახმუტის 9 მაისამდე აღებას, უკრაინელი ჯარისკაცების ამოცანაა, მათ ამაში ხელი შეუშალონ.

* * *

უკრაინის ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის საბჭოს მდივან ოლექსი დანილოვის განცხადებით, რუსეთს ყველაზე უარესი მომავალში ელოდება. მისი თქმით, რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის საუბარი „ყველაზე დიდ გეოპოლიტიკურ“ კატასტროფაზე, რომელშიც ის საბჭოთა კავშირის დაშლას გულისხმობდა, პროგნოზი აღმოჩნდა, და არა ფაქტი. „რუსეთისთვის კატასტროფა ახლა ხდება და ყველაზე უარესი წინ არის - დამარცხება, დაშლა, სასამართლო პროცესი, კონტრიბუცია“, - დაწერა დანილოვმა „ტვიტერზე“.

* * *

კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერის“ ქვედანაყოფები მიიღებენ საბრძოლო მასალასა და იარაღს საომარი მოქმედებების გასაგრძელებლად, - ამის შესახებ „ვაგნერის“ დამფუძნებელმა ევგენი პრიგოჟინმა განაცხადა. მისი თქმით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ყველა გადაწყვეტილებას საჰაერო კოსმოსური ძალების მთავარსარდალი სერგეი სუროვიკინი თავდაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით მიიღებს. „გვპირდებიან, რომ მოგვცემენ იმდენ საბრძოლო მასალასა და იარაღს, რამდენიც გვჭირდება საომარი მოქმედებების გასაგრძელებლად. გვეუბნებიან, რომ შეგვიძლია ვიმოქმედოთ არტემივსკში (ბახმუტი) როგორც საჭიროდ მივიჩნევთ“, - აღნიშნა პრიგოჟინმა. შეგახსენებთ, ამ დღეებში პრიგოჟინმა განაცხადა, რომ 10 მაისიდან „ვაგნერის“ მებრძოლები ბახმუტიდან გავლენ. მისი თქმით, საბრძოლო მოქმედებების გასაგრძელებლად საჭირო საბრძოლო მასალა არ ჰქონდათ, რის გამოც მისი მებრძოლები „უაზრო სიკვდილისთვის“ იყვნენ განწირულები.

* * *

უკრაინის დაზვერვის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელი კირილ ბუდანოვი აცხადებს, რომ რუსეთს უკრაინაში ფართომასშტაბიანი შეტევის განხორციელებისთვის პოტენციალი არ აქვს. „ამ დროისთვის, რუსეთს არ აქვს არც სამხედრო, არც ეკონომიკური და არც პოლიტიკური პოტენციალი, რომ უკრაინაში ფართომასშტაბიანი შეტევა სცადოს“, - აღნიშნა ბუდანოვმა. ამასთან, მისი თქმით, რუსეთს ჯერ კიდევ შეუძლია სერიოზული თავდაცვითი ოპერაციების ჩატარება და ეს არის პრობლემა, რომელთან გამკლავებაც უკრაინას მოუწევს. ბუდანოვმა ასევე განაცხადა, რომ რუსეთის ფედერაცია ცდილობს შეაგროვოს რაკეტების გარკვეული მარაგი, რათა უკრაინის კონტრშეტევა ჩაშალოს.

* * *

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თურქეთს უკრაინისთვის რუსული S-400 ტიპის საზენიტო-სარაკეტო სისტემების გაგზავნა შესთავაზა, თუმცა ანკარამ ამ შეთავაზების მიღებაზე უარი თქვა, - უკრაინული მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუთ ჩავუშოღლუმ განაცხადა. მისი თქმით, შეერთებულმა შტატებმა ასევე სთხოვა თურქეთს, სარაკეტო კომპლექსებზე კონტროლი მათთვის გადაეცათ. „მოგვეცით კონტროლი S-400-ზე და ჩვენ შევამოწმებთ. მათ შემოგვთავაზეს წინადადებები, რომლებიც პირდაპირ ეხება ჩვენს სუვერენიტეტს, მაგალითად, უარი ვთქვათ კონტროლზე. სად არის ჩვენი დამოუკიდებლობა, ჩვენი სუვერენიტეტი?“, - განაცხადა ჩავუშოღლუმ.

* * *

რუსები შეტევას ოთხი ძირითადი მიმართულებით ცდილობენ - ლიმანის, ბახმუტის, ავდიივკისა და მარინკას მიმართულებით. როგორც გენშტაბში აცხადებენ, ლიმანის მიმართულებით მტერი წარუმატებლად ცდილობდა წინსვლას სპორნის მიმართულებით და რამდენიმე საჰაერო და საარტილერიო დარტყმა განახორციელა. „ქალაქ ბახმუტში ბრძოლა გრძელდება. მას მოწინააღმდეგე ცეცხლგამჩენი და ფოსფორის შემცველი საბრძოლო მასალის გამოყენებით ბომბავს. მტერმა შეტევა განახორციელა ხრომოვოს, ივანოვკის, ჩასოვ-იარის და სტუპოჩეკის მიმართულებით, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია“, - ნათქვამია ინფორმაციაში. გენშტაბში აცხადებენ, რომ მოწინააღმდეგის თავდასხმები წარუმატებელი აღმოჩნდა ავდიივკისა და მარინკას მიმართულებებით.

**მოამზადა**
**ნაირა ფუტკარაძემ**

# «მარეთობა» - ხეობის დღესასწაული

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

***სახალხო დღესასწაული «მარეთობა» კვლავ გაიმართა მარეთის ხეობაში, რომელსაც ერისა და ქვეყნის სამსახურში მდგომი ღირსეული ადამიანები არასოდეს მოჰკლებია. 21-ე საუკუნეში მეცნიერების, ეროვნული იდეების, კულტურისა და ხელოვნების, ქვეყნის სამსახურში დგანან ალიოშა ბაკურიძე, შუშანა ფუტკარაძე, გივი და დავით ცეცხლაძეები, ვლადიმერ, აკაკი მახარაძეები, გურამ ფუტკარაძე, ჯემალ და აკაკი ბერიძეები, ტარიელ ებრალიძე, შალვა ბახტაძე, რამინ, ნინო ცინარიძეები, ლევან მაკარაძე, ირმა კეკელიძე, ბადრი დარჩიძე, გურამ ბოლქვაძე***

წელს «გიორგობა» და «მარეთობა» ერთად, ერთ ხეობაში, გამონათლევში, ნაჭივრსა და რიკიხეთში იზეიმეს.

...დილის 10 საათზე გამონათლევის ტაძარში ზარები ჩამოჰკრეს და მრევლს საზეიმო წირვა-ლოცვაზე, ნათლობის ცერემონიაზე უხმეს. ტაძარში ნათლობა სხალთის ეპარქიის მღვდელმთავარმა მეუფე სპირიდონმა მღვდელმსახურებთან ერთად აღავლინა.

- გამონათლევი ჩემთვის უძვირფასესია, - გვთხრა პროფესორმა ვლადიმერ მახარაძემ, - მახარებს, რომ ტაძარს მრევლი ემატება, ხეობას - მართლმადიდებელი. ის დღეც კარგად მახსოვს, როცა პირველ «საპატიო მარეთელებად» ვახტანგ მაკარაძე, ბიჭიკო დიასამიძე, ჯემალ ბერიძე და შუშანა ფუტკარაძე ავირჩიეთ. ამ საპატიო წოდებას მეც ვატარებ. საზოგადოების პირველი თავმჯდომარე პროფესორი თამაზ ფუტკარაძე იყო, რომელიც 2008 წლის მარტიდან ჩემმა ძმამ, აწ გარდაცვლილმა შოთა მახარაძემ ჩაანაცვლა. ახლა საზოგადოებას ჩემი ძმა, 8 წიგნის ავტორი, მწერალი აკაკი მახარაძე ხელმძღვანელობს. ასეთი ხალხმრავლობა ტაძარში პირველად ვიხილე, რაც იმის დასტურია, რომ აქ წინაპრების ძირძველ მრწამსს არ ივიწყებენ.

გამონათლევი და ნაჭივრი (მდინარეების ჩირუხისწყლისა და დოლაბისწყლის შესართავი) უკვე შესანიშნავ ტერიტორიად იქცა. აქ ქვეყნის ერთიანობისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში დაღუპულთა მემორიალი დაიდგა. მდინარე დოლაბისწყალზე მცირე ჰესის მშენებლობა დაიწყო. ახლა შუახევის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხებით სკვერის კეთილმოწყობა მიმდინარეობს. საზოგადოების მოთხოვნაა, რომ მას აწ გარდაცვლილი «საპატიო შუახეველის» ფრიდონ ქარცივაძის სახელობის სკვერი ეწოდოს.

საქართველოს პარლამენტის, აჭარის მთავრობის, უმაღლესი საბჭოს, შუახევის, მეზობელი ქედის მუნიციპალიტეტების პირველმა პირებმა ხსოვნის მემორიალი გვირგვინით შეამკეს.

ზეიმზე არა მარტო მარეთელები, მათი სტუმრებიც მიიპატიჟეს. კვიახიძეებელი გოჩა ფუტკარაძე ინეგოლელ იბრაიმ ყაიასულს (ფუტკარაძე) და მის მეუღლეს მასპინძლობდა. «მარეთობის» დღესასწაულს პირველად ესწრებოდა მარმარილოს ზღვის აუზის ქვეყნების კულტურის ცენტრის დირექტორი ომარ დემირთაში (მიქელაძე).

- ეს ლამაზი მთები, ღელე-ღურდანი ასეთ ზეიმს იმსახურებს. თურქეთში მცხოვრები ქართველებიც ვმართავთ ეროვნულ დღესასწაულებს, მაგრამ ამდენი ხალხი პირველად ვნახე. მომხიბლა სიმღერის ანსამბლებმა და ბავშვთა ბენდებმა, - გვითხრა ბატონმა ომარმა.

მარეთის ხეობა უჩამბის, დღვანის, ოლადაურისა და შუბნის ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალ 20-ზე მეტ სოფელსა და რამდენიმე დასახლებულ უბანს ითვლის. ხეობის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაზე ისაუბრეს და დამსწრეთ «მარეთობა» მიულოცეს შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, საქართველოს პარლამენტისა და აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარმა დეპუტატებმა ანზორ ბოლქვაძემ, ფრიდონ ფუტკარაძემ, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის მინისტრებმა ჯაბა ფუტკარაძემ, ზაზა შავაძემ, განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველმა მოადგილე ჯემალ სურმანიძემ, აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის უფროსმა მამუკა თურმანიძემ, ინეგოლელმა ომარ დემირთაშმა (მიქელაძე), საზოგადოება «მარეთის» თავმჯდომარე აკაკი მახარაძემ.

- ოლადაურიდან სამი ასაკოვანი პროფესორი ვესწრებით წლევანდელ «მარეთობას», - გვითხრა აკაკი ბერიძემ, - ჩემი ძმა ჯემალი, მეზობელი ლევან მაკარაძე ზეიმზე დასასწრებად თბილისიდან ჩამოვიდნენ. ასეთი მასშტაბური, ხალხმრავალი, კულტურული ღონისძიებებით დატვირთული დღესასწაული ნამდვილად არ მახსოვს. ნაჭივრი ერთი მიტოვებული, ეკალ-ბარდებით დაფარული ტერიტორია იყო. ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ კაცის მარჯვენას მრავალი საქმის გაკეთება შესძლებია.

ღია ცის ქვეშ მოწყობილ სცენაზე ფოლკლორულ სიმღერებს, კუთხისა და ხეობისთვის დამახასიათებელ ცეკვებს ასრულებდნენ შუახევის კულტურის ცენტრთან, უჩამბის საჯარო სკოლასთან არსებული ანსამბლები: «შუახევი», «მარეთი», «ზე-კართან», «იავნანა», შუახევის სახელოვნებო და მოსწავლე ახალგაზრდობის სკოლასთან არსებული მუსიკალური ბენდი «ას ჩვიდმეტი».

2005 წელს, რეგისტრირებული კავშირი «მარეთი» რომ დაფუძნდა, ერთ-ერთი პუნქტი კულტურულ-საგანმანათლებლო და საქველმოქმედო საქმიანობაში ადგილობრივი ბიზნესმენების ჩართულობას ითვალისწინებდა. დაარსების დღიდან დღესასწაულის ორგანიზებისთვის, ნიჭიერი ახალგაზრდების ხელშეწყობისთვის, სახალხო მეურნეობის ტრადიციული დარგების აღდგენა-განვითარებისთვის დიდ საქმეებს აკეთებენ ხეობაში დაბადებულ-დაფრთიანებული და ქვეყნის ქალაქებსა და უცხოეთში მომუშავე ბიზნესმენები დავით, ზაურ, უშანგი, შოთა ფუტკარაძეები, ვლადიმერ მახარაძე, მამუკა აბუსელიძე, რამინ, ვაჟა დავითაძეები, გურამ ველიაძე, ომარ, ჯემალ, ზვიად ბერიძეები, ავთანდილ, ტარიელ ჯუმუშაძეები, სულიკო მახარაძე, ზურაბ კეკელიძე. მათ წელსაც შეიტანეს თავისი წვლილი დღესასწაულის ორგანიზებულად ჩატარებაში.

ქართული ჭიდაობა აჭარის მთიანეთის სოფლებში სულ უფრო პოპულარული ხდება. «მარეთობა - 2023»-ის ფალავნის გამოსავლენად გამართულ ასპარეზობაში ხეობის წარმომადგენლები ჩაერთნენ. გუნდაურელმა გოგიტა ზოიძემ სანუკვარი თასი და ფულადი ჯილდო დაიმსახურა. აკაკი მახარაძემ ასევე ფულადი ჯილდოთი წაახალისა მოჭიდავე მირიან მამალაძე.

საზოგადოება «მარეთის» გამგეობის გადაწყვეტილებით შემოიღეს «საპატიო მარეთელის» წოდება. ვახტანგ მაკარაძიდან მოყოლებული, ეს წოდება საზოგადოებისთვის ცნობილმა 20-მდე ადამიანმა, მათ შორის, გაზეთ «აჭარის» ჟურნალისტებმა სერგო კაკაურიძემ (2009 წ.), გივი თურმანიძემ (2009 წ.) და ოთარ ცინარიძემ (2014 წ.) დაიმსახურეს. წელს «საპატიო მარეთელის» რიგებს შეემატნენ პროფესორები: თამაზ ფუტკარაძე (შუბანი), სოლომონ ფუტკარაძე (ოლადაური), ედიშერ ფუტკარაძე (დღვანი), ბიზნესმენები: რამინ დავითაძე (უჩამბა) და ვაჟა დავითაძე (ოქროპილაური).



საპატიო დიპლომები გადაეცათ წარმატებულ ახალგაზრდა მოჭიდავე ანრი ფუტკარაძეს (კვიახიძეები), თბილისში მომუშავე კარდიოლოგ ბონდო მაკარაძეს (ოლადაური), მომღერალ გიორგი ფუტკარაძეს (ტომაშეთი), დოქტორანტ კობა ივანაძეს (ჯაბნიძეები), ასევე, წარჩინებულ მოსწავლეებს - მარინე, ლადო ფუტკარაძეებს, ნანა დარჩიძესა და ნოდარ ზოსიძეს. ამაგი დაუფასეს ვეტერან პედაგოგ შახზად ჯუმუშაძეს და პოეტს, პედაგოგ მერაბ მაკარაძეს. ხეობის დამსახურებული ხელოვანის პრიზით დაჯილდოვდა შუახევის კულტურის ცენტრთან არსებული უხუცესთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ «ფესვების» მთავარი ქორეოგრაფი ბადრი დარჩიძე. «ხეობის ტკივილი» კი გოგინაურელი ახალგაზრდა პედაგოგის ზურაბ გოგიტიძის გარდაცვალება იყო.

ნაჭივრზე დაწყებული ზეიმი რიკიხეთში - 9 აპრილის ხეივანში დასრულდა. კომენტარებიც იქ ჩავიწერეთ.

**ნანა მომცელიძე, პოეტი, ჟურნალ «ხატიმამულის» რედაქტორი:**

- თუ გინდა ეკუთხე, ხეობა გაიცნო, პირველად მათი ზეიმი უნდა ნახო. აქაურებთან საქმიანი ურთიერთობები მაქვს. მათ კარგად იციან მეგობრობის, ქართული სიტყვისა და ლექსის ფასი. ამ ხეობის მკვიდრია უკვე შემდგარი პოეტი ნიკოლოზ ფუტკარაძე. აქაურობისთვის თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია, რომ მუზამ მოგაკითხოს, აქაური ადამიანების შრომისმოყვარეობამ, სტუმრისადმი პატივისცემამ დაგატყვევოს. წელს პირველად ვარ ხეობაში და «მარეთობის» ზეიმზე. უფლის ნებით, მომავალშიც გეწვევით.

**აკაკი მახარაძე, მწერალი, რეგისტრირებულ კავშირ «მარეთის» თავმჯდომარე:**

- წუთისოფელში სიყვარული და კეთილი ურთიერთობებია მთავარი. მარეთელებს ერთმანეთი მოგვნატრებია. მოვედით, ვიზეიმეთ, სტუმრებს, სასიქადულო ადამიანებს მოვეფერეთ. კარგია, რომ «მარეთობის» დღესასწაული ახალი შენაძენებით მდიდრდება. მეტი დატვირთვა შეიძინა «საპატიო მარეთელის» წოდებამაც.

**ჯემალ ბერიძე, ბიზნესმენი:**

- წლევანდელ «მარეთობაზე» გამორჩეულად «საპატიო მარეთელის» წოდება გოგაძეებელ ბიზნესმენ რამინ დავითაძეს მიანიჭეს, რაც ძალიან სასიამოვნოა. ბიზნესმენებმა შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის როსტომ ლორთქიფანიძის ინიციატივით, ადმინისტრაციული ერთეულის შემოსასვლელში, ოქროპილაურის ციხის ციტადელთან გაკეთებულ მემორიალური წარწერა: «მე მიყვარს უჩამბა», რაც მარეთის ხეობისთვის კიდევ ერთი შენაძენია. შარშან ხეობის შემოსასვლელში გაკეთდა ასეთივე წარწერა: «მე❤მარეთი». ყველას გილოცავთ «მარეთობას».

# ახალგაზრდული სახის საიდუმლო და არასასურველი პრეპარატების მოსალოდნელი გართულებები

**მარიამ ხითარიშვილი 27 48 93**

***მედიცინა, განსაკუთრებით კი ესთეტიკური მედიცინა, საკმაოდ სწრაფი ტემპით ვითარდება. დროთა განმავლობაში ინერგება ახალი პრეპარატები, მოწყობილობები და მეთოდები, შედეგად - უმჯობესდება მომსახურება, იზრდება მოთხოვნა სხვადასხვა პროცედურაზე. უამრავმა ადამიანმა უკვე გამოსცადა გამაახალგაზრდავებელი პრეპარატები, რომელთა შორის ყველაზე მოთხოვნად და ეფექტურ საშუალებად, დღესდღეობით, ფილერი და ბოტოქსი ითვლება***

*სხვადასხვა პროცედურაზე, არასასურველი პრეპარატების მოსალოდნელ გართულებებსა და ინიექციის შემდგომ პერიოდზე ინექციონისტი* ***ავთანდილ მარგველაშვილი*** *გვესაუბრება.*

**- დღესდღეობით რა ტიპის ინიექციები კეთდება და სახის რომელ ნაწილზე?**

- კეთდება მეზოთერაპია, ბიორევიტალიზაცია, ბიორეპარაცია, ყელი-დეკოლტეს ზონაზე ნაოჭების კორექცია, დატენიანება, კვება, ხელის მტევნების გაახალგაზრდავება, შუბლის ზონის გასწორება, თვალის ირგვლივ ნაოჭების კორექცია, სახის ოვალის რემოდელირება, ყვრიმალების კორექცია და მოცულობის გაზრდა, ტუჩის აუგმენტაცია, ცხვირის კორექცია (უსისხლო რინოპლასტიკა) და სხვა.

**- რომელი პრეპარატია სრულიად უსაფრთხო?**

- ყველა პრეპარატი, რომელიც დღესდღეობით გამოიყენება, უსაფრთხოა. ბიორევიტალიზაცია კანის კოსმეტიკური ნაკლოვანებების, მისი ღრმა შრეების ჰიალურონის მჟავით გაჯერების გზით პროფილაქტიკისა და კორექციის ერთ-ერთი მეთოდია. ტერმინი ბუნებრივ გაცოცხლებას ნიშნავს. ეს მჟავა ადამიანის ორგანიზმში ისედაც არსებობს, ამიტომ საფრთხეს არ ქმნის. საფრთხის შემქმნელ პროცედურად, ასე თუ ისე, მაინც მეზოთერაპია ითვლება, რადგან ეს არის ვიტამინების კოქტეილი და შეიძლება ალერგიული ფონი გამოიწვიოს. პაციენტს წინასწარ ყოველთვის უკეთდება სინჯი, აქვს თუ არა ალერგია ამა თუ იმ პრეპარატზე და მხოლოდ ამის შემდეგ ვაკეთებთ მეზოთერაპიას. რაც შეეხება ბოტოქსს, პირადად არ მიყვარს ეს პრეპარატი - ნეიროტოქსინი მაინც კუნთის ატროფიაზე მუშაობს, თუმცა საკმაოდ წარმატებით გამოიყენება ესთეტიკურ მედიცინაში. ფილერი ნატურალური ჰიალურონის მჟავის შემცველი შემავსებელი პრეპარატია, ამიტომაც ინიექციისას ნულამდეა დაყვანილი ალერგიულობის რისკი. ფილერის საშუალებით შესაძლებელია ღრმა ნაოჭების ამოვსება და ვიზუალურად მათი გაქრობა. გარდა შემავსებლის ფუნქციისა, ჰიალურონის მჟავა იწვევს წყლის შეკავებას და კოლაგენის გამომუშავების გააქტიურებას, შესაბამისად, კანი დროთა განმავლობაში უფრო ტენიანი და

ელასტიკური ხდება, ხოლო პრეპარატის გაწოვის შემდეგ ნაკლები ნაოჭი რჩება.

**- როდის და რატომ უნდა გაკეთდეს ბიორევიტალიზაცია?**

- ბიორევიტალიზაცია კანის კოსმეტიკური ნაკლოვანებების, მისი ღრმა შრეების ჰიალურონის მჟავით გაჯერების გზით პროფილაქტიკისა და კორექციის ერთ-ერთი მეთოდია, ტერმინი კი ბუნებრივ გაცოცხლებას ნიშნავს. კეთდება ასაკოვანი ცვლილებებით ან სხვა მიზეზებით გამოწვეული კანის სიმშრალისა და გაუწყლოების, ელასტიკურობის დაქვეითების დროს. ამ პრობლემებს აგვარებს ჰიალურონის მჟავა, მასზე ეფექტური დამატენიანებელი ჯერ არ შექმნილა. ბიორევიტალიზაცია რეკომენდებულია არა მარტო სიბერის უკვე არსებულ გამოვლინებებთან საბრძოლველად, არამედ პროფილაქტიკისთვისაც.

**- უკმაყოფილო მომხმარებელი თუ გყოლიათ?**

- უკმაყოფილო პაციენტი აბსოლუტურად ყველა ექიმს ჰყავს, რადგან შეიძლება ვერ მიიღოს ის შედეგი კლიენტმა, მას რომ უნდა. ერთია, რა სურს პაციენტს და მეორე - როგორია სტანდარტი, რაც ჩვენ - ექიმებმა ვიცით. შესაბამისად, შეიძლება ვიღაცას ძალიან დიდი ტუჩი უნდოდეს და არ გაუკეთო, რადგან ულამაზო იქნება. შესაძლებელია ამით დარჩეს უკმაყოფილო. სხვა მხრივ, მაგალითად, ინიექციის შემდეგ გართულება მე პირადად პაციენტთან არ მქონია.

**- რამდენად არის მამაკაცებისგან დღეს ამ პროცედურებზე მოთხოვნა?**

- 50/50-ზე არის. როგორც ქალბატონები, ასევე მამაკაცებიც იკეთებენ. 21-ე საუკუნეში, როგორც იქნა, ვეღირსეთ იმ კულტურას, რომ მამაკაცებიც უვლიან თავს და ეს ძალიან კარგია. ტუჩის, ცხვირის, ყვრიმალების კორექციაც გამიკეთებია. ყველანაირ პროცედურას იკეთებენ, უბრალოდ, ქალბატონებთან შედარებით, მამაკაცებს სხვანაირად უკეთდებათ პროცედურები. სტანდარტები აბსოლუტურად სხვადასხვაა, პრეპარატი კი ერთი და იგივე.

**- როგორი ფასებია და რამდენ ხანს ძლებს პრეპარატი კანქვეშ?**

- პრეპარატის ხანგრძლივობა აბსოლუტურად დამოკიდებულია ორგანიზმზე, მეტაბოლიზმზე... რა თქმა უნდა, გააჩნია პრეპარატსაც. სასურველია, მსგავსი პროცედურები 6 თვეში ერთხელ ვიკეთოთ და კანი არ მივიყვანოთ საწყის ეტაპამდე, რადგან შემდეგ მეტი პრეპარატის გამოყენება გახდება საჭირო, რაც გაცილებით დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. რაც შეეხება ფასებს, ბაზარზე დღესდღეობით ძალიან დიდი კონკურენციაა, შესაბამისად, არ გვაქვს გაბერილი ფასები. ვცდილობთ, მომხმარებელი კმაყოფილი იყოს.

**- რა ღირს ფილერის პროცედურები?**

- პრეპარატის ღირებულებიდან გამომდინარე, 500-დან 900 ლარამდე მერყეობს... გააჩნია პროცედურას.

**- რა ასაკიდან არის მიზანშეწონილი ინიექცია?**

- 25 წელს ზემოთ, რადგან ამ ასაკში იწყება აქტიური დაბერების პროცესი, რასაც ხელი უნდა შევუშალოთ. 25 წლამდე არ არის მიზანშეწონილი ბოტოქსის ან ბიორევიტალიზაციის გაკეთება, თუ ინდივიდუალური პრობლემა არ არის, არა აქვს მკვეთრად გამოხატული სიმშრალე ან აუცილებლობას არ წარმოადგენს. ამ ასაკამდე შეიძლება „გაკეთდეს“ ტუჩი, ცხვირი... მხოლოდ უსაფრთო პროცედურები.

**- რას ფიქრობთ E ვიტამინზე და რას ეტყვით მათ, ვინც დღესაც აქტიურად მოიხმარს მას?**

- სამწუხაროდ, კიდევ არიან ადამიანები, რომლებსაც E ვიტამინი ტუჩში ინიექციის სახით შეჰყავთ, მეტიც - ტუჩის გადიდების ამგვარი შემთხვევები ხშირია. დაინტერესებულები ძირითადად თინეიჯერები არიან. უკუჩვენების გამოვლინება ყველა ადამიანში ინდივიდუალურია: ინტოქსიკაცია ზოგს იმავე დღეს ეწყება, ზოგს - სამი დღის ან ერთი კვირის შემდეგ. ორგანიზმიდან E ვიტამინის სრულად გამოსვლას, შესაძლოა, წლები დასჭირდეს. ეს ვიტამინი არათუ ინიექციის სახით, გარედან წასასმელადაც ძალიან საშიშია. სინამდვილეში ტუჩი კი არ იბერება, არამედ სივდება, მასთან ერთად კი სახეც, იწამლება კუჭ-ნაწლავი, იწყება თავბრუსხვევა და გულისრევა, დაგვიანებულმა ჰოსპიტალიზაციამ შესაძლოა, ადამიანი სავალალო შედეგამდე მიიყვანოს. E ვიტამინი, ვფიქრობ, მოხმარებიდან ამოღებული უნდა იყოს, ახალგაზრდებს კი ვურჩევდი, თუნდაც ინტერნეტსივრცეში მოიძიონ და ნახონ, რა შეიძლება გამოიწვიოს ამ ვიტამინმა. სავსებით დასაშვებია, რომ ქსოვილი დაჩირქდეს, ნეკროზი განიცადოს, რადგან ქსოვილთან E ვიტამინი ინტეგრირებადი არ არის, მიგრირებს კიდევაც და არცერთ შემთხვევში არ არის სასურველი.

**- ყოფილა თუ არა შემთხვევა, როცა მომხმარებელს ინიექციით შედეგი არ ჰქონია?**

- გამორიცხულია. თუ სწორად არის პროცედურა ჩატარებული, შედეგი ყოველთვის იქნება.

**- როგორ უნდა მოვუაროთ ახლად „დაბერილ“ ტუჩებს ან ამოვსებულ ნაოჭებს?**

- ინიექციის შემდეგ გარკვეული პერიოდის განმავლობაში არ შეიძლება ალკოჰოლი, საუნა, სოლარიუმი. აუცილებელია დიდი რაოდენობით წყლის მიღება. ჰიალურონის მჟავა ერთგვარი მაგნიტია, რომელიც წყლის მოლეკულებს იზიდავს. ერთი ჰიალურონის მოლეკულა 500-600 მოლეკულა წყალს იზიდავს, შესაბამისად, თუ ორგანიზმს არ მივაშველეთ წყალი, რაც უნდა დიდი დოზით შევიყვანოთ ფილერი კანქვეშ, შედეგი არ დადგება.

**- ინიექციის გაკეთებისას კურიოზული მომენტი თუ გქონიათ?**

- მეზოთერაპიის კეთებისას პაციენტს დაახლოებით ნემსის 100-დან 200 ჩხვლეტამდე უწევს. მყავდა ერთი პაციენტი, რომელსაც ძალიან ეშინოდა - თითოეულ ჩხვლეტაზე დგებოდა და დადიოდა. პროცედურას საშუალოდ 15-20 წუთს ვანდომებ, მაგრამ ამ შემთხვევაში ზუსტად 3 საათი დამჭირდა. როცა პაციენტი გენდობა, რა თქმა უნდა, ის კმაყოფილი უნდა გაუშვა. შესაბამისად, უნდა მოითმინო, აიტანო კიდევაც და ყველანაირად ხელი შეუწყო მას. მგრძნობიარე პაციენტებთან სხვანაირი მიდგომაა საჭირო.

**- ინიექციის პროცედურამდე გამაყუჩებელ საშუალებას თუ იყენებთ?**

- ზოგადად კეთდება აპლიკაციური ანესთეზია „ლიდოკაინით“, „ნოვოკაინით“ ან სხვა საშუალებებით, თუმცა პირადად არ მიყვარს ანესთეზიის გაკეთება, რადგან ალერგიულობის რისკი მატულობს. გარდა ამისა, ჰემატომების წარმოქმნის საშიშროება უფრო მაღალია. არცერთ ექიმზე არ არის დამოკიდებული, სილურჯე ექნება თუ არა პროცედურის შემდეგ პაციენტს, ეს აბსოლუტურად ინდივიდუალურია, თუმცა ანესთეზიის შემთხვევაში სილურჯის ალბათობა უფრო მეტია. ერთადერთი, რასაც ვაყუჩებ, ეს არის ტუჩი. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ბოლო 2-3 წელია, წამოვიდა ტენდენცია და ქალბატონებთან ერთად, მამაკაცებიც უვლიან თავს, რაც მახარებს. ვფიქრობ, საკუთარ გარეგნობას ყველამ უნდა მიხედოს.

# კვალიფიციური კარდიოლოგები – ქედაში

**თამაზ მგზავრიძე 27 48 93**

***ქედის მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობა კვალიფიციური კარდიოლოგების მომსახურებას ნამდვილად საჭიროებს. ამ პრობლემის დასაძლევად აღნიშნულ მუნიციპალიტეტში თბილისის ჩაფიძის გადაუდებელი კარდიოლოგიური ცენტრის ექიმებმა უფასო სამედიცინო გამოკვლევების აქცია გამართეს. ორგანიზატორი საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი ანზორ ბოლქვაძეა. აქციას შუახევის რაიონის სოფელ ოლადაურის მკვიდრი, ახალგაზრდა კარდიოლოგი ბონდო მაკარაძე კურირებდა***

ჩაფიძის კარდიოლოგიის ცენტრის ექიმებმა კარდიოლოგიური პროფილის უფასო გამოკვლევები: ექიმი-კარდიოლოგის კონსულტაცია, ელექტროკარდიოგრამა, გულის ექოსკოპია, ლაბორატორიული კვლევები 170-ზე მეტ პაციენტს ჩაუტარეს.

პარლამენტარი ანზორ ბოლქვაძე, ქედის მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე, საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძე აქციის ადგილზე იყვნენ და კვალიფიციურ

ექიმებს მადლობა გადაუხადეს.

- ეს პირველი და უკანასკნელი აქცია არ იქნება, - გვითხრა ბონდო მაკარაძემ, - წინა წლებში ანალოგიური აქციები აჭარის სხვა მუნიციპალიტეტებშიც გვქონდა და მოსახლეობის დიდი ნდობა მოვიპოვეთ. დიდია ამ კარგ საქმეში ბატონი ანზორ ბოლქვაძის თანადგომა. მომავალში კიდევ ჩამოვალთ.

## მორიგი რეკორდი

ეროვნული ბანკის სტატისტიკის მიხედვით, ამა წლის 30 აპრილისთვის მთლიანმა რეზერვებმა 5,133 მლრდ დოლარი შეადგინა, რაც 129,5 მლნ დოლარით მეტია მიმდინარე წლის მარტის მაჩვენებელთან შედარებით, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით კი რეზერვები 1,306 მლრდ დოლარით გაიზარდა. კერძოდ, 2022 წლის აპრილში საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 3,826 მლრდ დოლარს შეადგენდა, წლევანდელი მარტისთვის კი 5,003 მლრდ დოლარს. უცხოურ ვალუტაში კონვერტირებული საერთაშორისო რეზერვები ეროვნული ბანკის ძირითად რეზერვს წარმოადგენს და ამა წლის 30 აპრილისთვის ეს ნაწილი 4,661 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს. მის სტრუქტურაში შედის სახსრები, რომლებიც განთავსებულია ფასიან ქაღალდებში - 3,177 მლრდ დოლარი და ვალუტა, რომელიც ინახება უცხოური ბანკებისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) ანგარიშებზე - 1,484 მლრდ დოლარი. ეროვნული ბანკი სახსრებს ოქროს სახით არ ინახავს.

**ამირან ბურიელიძე**

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომძვეები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 8/05/23, 21 ⁰⁰ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

# პოეტის მშობლიურ კუთხეში „ზურაბობა“ აღინიშნა

მანანა ჟიჟიშვილი 598 24 94 97

***5 მაისს ჩვენი ზურაბ გორგილაძის დაბადების დღეა. ამასთან დაკავშირებით, ტრადიციულად, საზოგადოება ბათუმის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის ეზოში, მის საფლავთან იკრიბება და პატივს მიაგებს ამ ბუმბერაზი პოეტის ხსოვნას***

ასე იყო წელსაც. აქ შეიკრიბნენ მისი მეგობრები, კოლეგები, ოჯახის წევრები, აჭარის ხელისუფლების წარმომადგენლები. აქ იმყოფებოდნენ აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი არჩილ ჩიქოვანი, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელი თამარ გუდავა...

პოეტის პატივგება მის მშობლიურ სოფელ ხალაში - სახლ-მუზეუმში გაგრძელდა, სადაც „ზურაბობა“ გულთბილად აღნიშნეს.

ზურაბ გორგილაძის პოეზია ძალიან ახლოა ყველა იმ ადამიანთან, ვისაც საქართველო, ქართული პოეზია უყვარს. ამიტომ იყო, რომ მან სიცოცხლეშივე დაიმსახურა თითოეული ქართველის სიყვარული. მის შემოქმედებას საქართველოს მთისა და ბარის განუმეორებელი სურნელი დაჰკრავს და ამ სურნელით მან კიდევ უფრო შეგვაყვარა ჩვენი ქვეყანა. მისი პოეზია ჭეშმარიტად ქართულია, რომელშიც წარსულს და აწმყოს ერთნაირი სიყვარულით უმღერს.

სოფელ გორგაძეების სკოლის სახელით შეკრებილთ „ზურაბობა“ ამავე სკოლის დირექტორმა მინდია მახარაძემ მიულოცა, მოსწავლეებმა კი ზურაბის შემოქმედება წარმოგვიდგინეს.

პოეტის გახსენების, მისი მოფერების მსურველი ძალიან ბევრი იყო. ჩვენ ზოგიერთ მათგანს წარმოგიდგენთ.

**დავით გაბაიძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე:**

- ზურაბი იყო ჩვენი თანამედროვეობის უდიდესი ადამიანი და პოეტი, რომელმაც ყველაზე უკეთ, ყველაზე სწორი სიტყვებით და ყველაზე ლამაზად შეძლო მოფერებოდა

ჩვენს კუთხეს, სრულიად საქართველოს. ისაა პიროვნება, ვისითაც არა მხოლოდ ამ კუთხის, საქართველოს ნებისმიერი კუთხის შვილები ამაყობენ. ვინ იყო დ როგორი იყო, ეს მან ყველაზე კარგად თქვა: „იდიდგულე, რომ ამფერი აჭარელი ვიყავ განა“... სიამაყის და დიდგულობის საფუძველი ნამდვილად გვაქვს თითოეულ ჩვენგანს.

**შორენა მახაჭაძე, ბსუ-ის პროფესორი:**

- „ზურაბობამ“ ცნობილი ლეგენდა გამახსენა: როგორც ის ზურაბი ჩაეშენა სურამის ციხეს, ისე ჩააშენა ქართული მწერლობის ბალავარში, ლიბოში ზურაბ გორგილაძემ თავისი ფანტასტიკური, არაჩვეულებრივი პოეზია, რომელიც მშობლიური ენის წიაღიდანაა ამოზრდილი. გაამაგრა ეს ლიბო ისე, რომ ვერავინ მოერევა. ამიტომაც ასე მტკიცეა ქართული პოეზია, გაუბზარავი, მარადიული, უკვდავი. მისი სახით მთელი საქართველოს მწერლობის ცისარტყელას ერთი ბრწყინვალე და კაშკაშა სხივი შეემატა. ზურაბ გორგილაძე იყო, არის და იქნება მანამ, სანამ ერთი ქართველი მაინც ივლის ამ დედამიწაზე და დარწმუნებული ვარ, რომ ამ ნაპერწკლიანი ქართული სიტყვის მფლობელი ერი არასოდეს გადაშენდება.

**ნათია ნიჭარაძე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი:**

- ბატონი ზურაბის გარდაცვალების შემდეგ, მისი დაბადების დღე ყოველწლიურად აღინიშნება. ქობულეთის მუნიციპალიტეტში საინტერესო ღონისძიებები იმართება. ტარდება ზურაბ გორგილაძის სახელობის ლიტერატურული კონკურსი, რომელშიც ჩართული არიან მოსწავლეები, ახალგაზრდობა. გამარჯვებულებს საზეიმოდ ვაჯილდოვებთ. 5 მაისი ყოვეთვის იქნება დიდი ზურაბის პატივგების დღე.

**არჩილ ჩიქოვანი, ქალაქის მერი:**

- ზურაბ გორგილაძის როლი ქართულ მწერლობაში შეუფასებელია. მისი ლექსის ყოველი პწკარი სრულიად საქართველოსთვის არის ძალიან დიდი საგანძური. დღეს პატივი მივაგეთ მის ხსოვნას, შევიკრიბეთ, ვისთვისაც ძვირფასია ბატონი ზურაბი.

**დავით თედორაძე, აჭარის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე:**

- დღეს მის ოჯახში ვარ. აქ არაერთხელ ვყოფილვარ ნუგზარ ჯაფარიძესთან, ავთანდილ დიასამიძესთან ერთად... დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ის ჭეშმარიტად სახალხო პოეტია - საფლავთან უამრავი ადამიანი მოვიდა, აქაც - მის სახლში... მადლობა ღმერთს, რომ ეს სახლი დღეს აქ დგას და ის ზურაბს ეკუთვნის, მადლობა გოჩა ირემაძეს ამ სიკეთისთვის. უფალმა ინება, რომ საქართველოს ჰყოლოდა ზურაბ გორგილაძე, რომელსაც სამშობლომ დაადგა გვირგვინი.

**ლეილა დავითაძე, ზურაბ გორგილაძის მეუღლე:**

- ზურაბი რომ დიდი პოეტია, ეს ახალგაზრდებმა უნდა თქვან და აღიარონ მისი შედევრები, მთავარი კი ისაა, რომ ზურაბის მუზეუმი გაიხსნა, სადაც მისი ნაქონი არაჩვეულებრივი ნივთები ინახება. ეს თაობებისთვისაა სახსოვარი.

**რამაზ ხალვაში, ბსუ-ის პროფესორი:**

- ზურაბ გორგილაძე ქართული პოეზიის აჭარული ფრთის წარმომადგენელია, რომელმაც სრულფასოვანი მოქალაქეობა მოუპოვა ამ ფრთას, აქაურ გადარჩენილ სიტყვას მუსიკალურობით, მეტაფორებით, ეროვნული პოზიციით... ზურაბი მთელ საქართველოში უყვართ და იგი ამ სახალხო სიყვარულს ხალასი პოეზიით ნამდვილად იმსახურებს. მე მისი ლექსები მომისმენია საქართველოს ყველა კუთხეში, თანაც, ზეპირად წაკითხული. ეს არის სწორედ მისი სახალხო სიყვარული.

**ოთარ შუტკარაძე, ჟურნალისტი:**

- 1984 წელს გავიხსენებ, როცა მწერლების დელეგაცია აჭარიდან მესხეთ-ჯავახეთში ჩავიდა იქ ჩასახლებულ აჭარლებთან ლექსების წასაკითხად, მოსიყვარულებისთვის. ამ ჯგუფში მეც ვიყავი ჩართული იმის გამო, რომ მათი იქ ჩასახლების ერთ-ერთი პირველი პროპაგანდისტი გახლდით. ყველა დიდი სიყვარულით გვეგებებოდა. საინტერესო რა იყო, იცით? ზურაბი ხომ უკითხავდა მათ ლექსებს, ზურაბსაც უკითხავდნენ მისივე ლექსებს, რაც ძალიან ახარებდა.

**მერაბ კვიცარიძე, ექიმი ქუთაისიდან, რომელმაც ზურაბ გორგილაძის არაერთი ლექსი ზეპირად იცის:**

- „ზურაბობა“, 5 მაისი ჩემთვის მუდმივი დღესასწაულია და მიხარია, რომ ამ დღეს თქვენთან ვარ. ხშირად მითქვამს და ახლაც ვიტყვი: კაცობრიობა რუსთაველის საფლავს ხან სად ეძებს და ხან - სად, მე კი ვამბობ: სანამ კაცობრიობა იარსებებს, რუსთაველის საფლავს ვერ ნახავს, რადგან ის ციდან ჩამოვიდა, მიწაზე ფეხი არ დაუდგამს, დაწერა შედევრი - „ვეფხისტყაოსანი“ და ისევ ცაში წავიდა. ღმერთებს მიწაში არ ეძებენ. ჩვეულებრივი ადამიანის თვალი სამასამდე ფერს აღიქვამს, რუსთაველმა უთვალავი ფერი დაინახა („გვაქვს უთვალავი ფერითა“). დღეს ამ უთვალავი ფერის დამნახავ სამყაროში ვარ. ხშირად ვამბობ: ქართული პოეზიის მერიდიანი გადის ჩარგალზე, სადაც ვაჟა-ფშაველა დაიბადა, განედი - ჭყვიშზე, სადაც გალაკტიონი დაიბადა, ხოლო გრძედი - ხალაზე და დღეს მე ამ გრძედზე ვდგავარ. მე „ცისფერყანწელების“ ქალაქიდან ვარ და ყოველთვის მინდა აქ ჩამოსვლა, მის საფლავთან მისვლა, რადგან ის გამორჩეულია.

**ვლადიმერ მახარაძე, ბიზნესმენი:**

- ზურაბს თითქმის არ აქვს ისეთი ლექსი, სადაც ჯვარი, სამშობლო, მამული, სიყვარული, პატრიოტიზმი არაა ნახსენები. ეს ამოუწურავი თემაა. ზურაბის პოეზია ადამიანებს გვამეგობრებს, ის დღესაც ზეციური საქართველოდან მეგობრობის ხიდია. სწორედ მისი პოეზიით დავუმეგობრდი მერაბ კვიცარიძეს. ზურაბის პოეზიით თუ შეიარაღდები, არსად „დამაცხდები“, არცერთ თავყრილობაში.

**თამარ გუდავა, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელი:**

- ზურაბ გორგილაძე თითოეული ჩვენგანისთვის ეპოქალური პიროვნებაა, პოეტი, რომელმაც შექმნა დიდი განძი ქართულ პოეზიაში, რომელსაც უკვდავება უწერია. მისი თითოეული ლექსი სახალხოა და თითოეულის გულშია. მისი ყოველი სიტყვა, ფაქტობრივად, ქართულს ხელახლა გასწავლის. ჩვენი კუთხისთვის დამახასიათებელი ძალიან მნიშვნელოვანი ფრაზები და სიტყვები, რომ არა ზურაბი, ალბათ, არ გვეცოდინებოდა. ბედნიერი ვარ, რომ ჩვენი თანამედროვე იყო, რომ მქონდა მასთან სახლში სტუმრობის საშუალება. ის იმდენად დიდი იყო, რომ ჩვენთან - პატარებთან საათობით საუბრობდა. ეს ჩემთვის ძალიან საამაყოა.

**ვახტანგ ღლონტი, პოეტი:**

- ზურაბ გორგილაძე ძალიან შინაური, უსაყვარლესი პოეტია, ისეთი, როგორიც შეიძლება იყოს ზოგჯერ სამოსი, რომელიც უზომოდ შეიყვარე. ეს სიყვარული სხვა რეგისტრშია ასული. მისი საოცარი ლექსები არა მხოლოდ ქორწილებში და ლხინში მომისმენია, არამედ ქელეხებშიც. იცით, რატომ მოსწონს საქართველოს ასე ძალიან? მასში სამშობლოს სიყვარულია. ასე იყო - სამშობლოს სიყვარული იწყებოდა პოეტით და ლექსით. ახლა...

**გენრი დოლიძე, პოეტი:**

- ზურაბ გორგილაძე არის ჩვენი ქვეყნის სიამაყე, ერთ-ერთი მწვერვალი. ამის დასტური ისაა, რომ ყველაზე სახალხო პოეტია საქართველოში - ოჯახებში, ქორწილებში, დაბადების დღეებზე, რიგით სუფრებსა თუ სახალხო დღესასწაულებზე ხალხი კითხულობს არა მხოლოდ ზურაბ გორგილაძის შემოქმედებას, არამედ თავის ინტერპრეტაციებსაც წარმოგვიდგენს... ანუ, ბევრი ლექსი გახალხურდა. სწორედ ესაა იმის დამმტკიცებელი, რომ ის ყოველთვის ახლოს იყო ხალხის გულებთან. რაც მეტი დრო გავა, ის კიდევ უფრო მეტად სახალხო გახდება, თუმცა არც სიცოცხლეში აკლდა სახელი.

**ბელა ძებურია, პოეტი:**

- რაც უფრო უახლოვდები მას, მით უფრო დიდი ხდება... ერთი რამ დაგვრჩენია - მიხვიდე ამ ხელებგაშლილ სურათთან, ჩვენ რომ გვეგებება და ქედი მოუხარო. როცა დიდი ზურაბის შემოქმედებასთან მაქვს შეხება, ვგრძნობ, რომ ყოველგვარი წინაღობის გარეშე მოედინება შენს ძარღვებში - გაახლებს, გახალისებს, გასუფთავებს... ზურაბი მისი დიდი გულით ყოველთვის ჩვენთან იყო, არის და იქნება.

**ბაიარ შაჰინი (გუნდარიძე), მომღერალი, ჩვენებური:**

- უფლის ნებაა, ალბათ, მე დღეს თქვენთან ერთად რომ ვარ და საშუალება მეძლევა, ორიოდ სიტყვა ვთქვა. მინდა ზურაბს ჩემი სიმღერის სიტყვებით მოვეფერო, ვიცი, მის სულს გაუხარდება: „...სადაც უნდა ვიყო, მაინც შენკენ მიხმობ... არ დამტოვებ, მგონია. შენი გზები მახსოვს, ვერასოდეს დაგთმობ, რა სამშობლო მქონია“.

სიტყვით გამოვიდნენ ზურაბის ნათლია **ჯამბულ ფულაია** და მეგობარი **სულიკო ინაიშვილი.**

„ზურაბობა“ გაალამაზეს მოსწავლეებმა, ლიტერატულ კლუბ „ზღვაურის“ წევრებმა, რომლებმაც პოეტის ლექსები წაიკითხეს.